გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 2
(11 459)

9 – 11 იანვარი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გერმანია სპორტსმენთა მიღებას ზღუდავს!

### ამ ქვეყანაში ამიერიდან მკვეთრად შეიზღუდება იმ სპორტსმენთა საქმიანობა, რომელთა ქვეყანა ევროკავშირის წევრი არ არის...

**სამწუხაროდ, ეს „არაელიტარულ“ ქართველ ლეგიონერებსაც ეხება**

გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა ღონისძიებათა პროექტი, რომლის მიხედვით ამ ქვეყანაში მკვეთრად შეიზღუდება „არაევროკავშირელ“ სპორტსმენთა საქმიანობა. ამიერიდან „მესამე“ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც არაელიტარულ დივიზიონებში გამოდიან, მუშაობის უფლებას შეუზღუდავენ. პირველ რიგში, ეს ფეხბურთსა და ტანვარჯიშს ეხება.

რეფორმების აუცილებლობას გერმანელები ხსნიან იმით, რომ გზას გაუხსნიან საკუთარი, გერმანული ტალანტების გამოვლინებას.

იტყობინებიან, რომ ფედერალური მთავრობა მას შემდეგ მიიღებს კანონს, როცა შესაბამის გამოხმაურებას მიიღებს გერმანიის მიწებიდან.

**სპორტულ ფედერაციებში**

## სამბოს რევერანსი სპონსორებს

საქართველოს სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ მისდამი 2000 წელს გაწეული დახმარების მიხედვით გამოავლინა გასული წლის ექვსი საუკეთესო სპონსორი:

***1. ჯონი ფირცხალაიშვილი*** — თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსი;
***2. ვლადიმერ კანკავა*** — თბილისის მერიის სპორტის, აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი;
***3. აკაკი დარჯანია*** — ქ. ფოთის მერი;
***4. დავით კოვზირიძე*** — ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარე;
***5. გელა ქვრივიშვილი*** — კასპის რაიონის გამგებელი;
***6. თენგიზ ოქროცვარიძე*** — საგარეჯოს რაიონის გამგებელი.

ფედერაცია განსაკუთრებით აღნიშნავს ამავე ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ექვთიმიშვილის დაუშურველ ძალისხმევას საქართველოში სამბოს განვითარებაში.

## ვეტერანები რით ვართ ნაკლები...

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გამოავლინა 2000 წლის შვიდი საუკეთესო ვეტერანი ფალავანი, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ვეტერანთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. აი ისინიც: ***ემზარ კიკაბიძე, ავთანდილ თოდრია, ავთანდილ გოგოლიშვილი, მევლუდ ჩხაიძე, ზურაბ ნიკურაძე, ვლადიმერ ვალიშვილი, შურა მაისურაძე.***

## XX საუკუნის დადგომა და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული გასულ კვირას, თბილისში, მასობრივი გარბენით – მეოთხედი მარათონით აღინიშნა. ეს უკვე კარგი დასაწყისია!

## ჩივაძე – ლეგენდარულ კაპიტანთა ამქარში

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რუსულმა ჟურნალმა „სპორტკლუბმა“ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების 80-იანი წლების კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე შეიყვანეს ყველა დროის გუნდების წინამძღოლთა რიცხვში. ამ ფაქტის კომენტარისას ჟურნალისტებს მოჰყავთ სახელგანთქმული რუსი მწვრთნელის კონსტანტინე ბესკოვის სიტყვები, რომელმაც ქართველი ფეხბურთელი დაახასიათა, როგორც უაღრესად გუნდური სულისკვეთების მოთამაშე. მოსკოველმა მას-მედიელებმა ჩივაძე დააყენეს ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც არიან ფრანც ბეკენბაუერი, დანიელ პასარელა, შტეფან ეფენბერგი, მიშელ პლატინი და სხვ.








**სურათებზე:** გარბენის სტარტი; საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მექმარიაშვილი (მარჯვნივ) და ცნობილი ფალავანი, პარლამენტარი რომან რურუა გამარჯვებულთა დაჯილდოებისას.

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები*

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ერიქსონი რჩება „ლაციოში“

გუშინ, საღამოს, ასეთი განცხადება გააკეთა რომის საფეხბურთო კლუბ „ლაციოს“ პრეს-ატაშემ. ხმები შვედი მწვრთნელის დაუყოვნებლივ გადადგომაზე გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გუშინწინ, იტალიის ჩემპიონი შინ, „ნაპოლისთან“ დამარცხდა.

***

გუშინვე, თანამდებობიდან გაათავისუფლეს იტალიის საფეხბურთო კლუბ „პარმას“ მთავარი მწვრთნელი ალბერტო მალეზანი.

***

ფუხელ, თანამდებობიდან გადადგა ნბა-ს „ბოსტონ სელტიკის“ მწვრთნელი და პრეზიდენტი რიკ პიტინო. მიზეზად მან დაასახელა ეროვნული ასოციაციის ამ ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ახლანდელი კრიზისი. ვადამდე კონტრაქტის შეწყვეტით, პიტინომ 27 მილიონი დოლარი დაკარგა.

### ფორმულა-1: პირველი რბოლა XXI საუკუნეში

ესპანეთში, ხერესეს ავტოდრომზე გაიმართა ახალი სეზონისა და ახალი საუკუნის პირველი რბოლები. ტესტურ სტარტზე გამოვიდა მხოლოდ ორი საჯინიბოს 5 პილოტი. საუკეთესო შედეგი აჩვენა რალფ შუმახერმა, შემდეგ მოდიან: პაბლო მონტოია (ორივე – ბმვ-უილიამსი), ჯან კარლო ფიზიკელა („ბენეტონი“), მარკ ჟენე (ბმვ-უილიამსი) და ჯენსონ ბატონი („ბენეტონი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 7 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

## გმადლობთ!

საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალისა და საახალწლო ბანკეტის მოწყობაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას ვუხდით გენერალურ სპონსორს – კომპანია „ჯეოსელს“, სპონსორებსა და პარტნიორებს – სააქციო საზოგადოება „ქართულ შაქარს“, „იბერკომპანის“, შპს „ყაზბეგს“, სამორინე „აჭარას“, შპს „გეორგიას“, GWS, სს „სარაჯიშვილს“, სადაზღვევო კომპანია „იმედს“, „შერატონ მეტეხი პალასს“, ანსამბლ „რუსთავს“, ქალბატონ ლიზიკო ბაგრატიონს, ბატონებს – ანზორ ერქომაიშვილს, გია ჯაფარიძეს, თამაზ გეგეშიძეს, სუპერმარკეტ „ზემელს“.

**ელგუჯა ბერიშვილი,**
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

**მეოთხედი მარათონი. «საუკუნის საშობაო» ღია პირველობა.**

# ათვლა ახალ საუკუნესთან ერთად იწყება!

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ, ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე დაგეგმა, მასობრივი გარბენი იყო, რომელიც ახალი წლის დღეებში უნდა ჩატარებულიყო. სახელწოდება, მანძილი და მარშრუტი მერე შეირჩა. საბოლოოდ დადგინდა, რომ მოეწყობოდა „საუკუნის საშობაო“ ღია პირველობა მეოთხედ მარათონში (10 548მ), რომლის ორგანიზატორად თვით დეპარტამენტი, თბილისის საკრებულოს მერიის სპორტის, აღზრდის და ტურიზმის საქალაქო სამსახური მოგვევლინა. რიყიდან-რიყემდე! ამ მარშრუტით გაირბინა 114-მა სხვადასხვა ასაკის რბენის მოყვარულმა დისტანცია, ვახუშტის ხიდამდე, იქიდან უკან, რიყის მიმართულებით.

თბილისელებს ახლციხელი, ახმეტელი, საგარეჯოელი და გარდაბნელი მორბენლებიც შეუერთდნენ. მოასპარეზეებს მშვენიერი ამინდი დაუდგათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს პროფესიონალმა მორბენლებმა, ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა და თბილისელმა ჰამლეტ მამიკონიანმა. ზილბერშტეინი გამოცდილი ოსტატია, არაერთ გარბენში უსახელებია თავი ჩვენში, უასპარეზია უცხოეთში, მათ შორის მსოფლიო პირველობაზე. 34 წლის ზიგმუნდი ამჟამად ახალციხეში, თსუ-ს ფილიალში მასწავლებლად მუშაობს და, ასაკის მიუხედავად, ვარჯიშობს კიდეც. ეს გარბენიც მისი აშკარა უპირატესობით დამთავრდა — მანძილი 32,04,3წ. გაირბინა. გამარჯვებულს საგრძნობლად ჩამორჩა მამიკონიანი, რომელიც 34 წლისაა და მძლეოსნობის მასწავლებლად მუშაობს სპორტსკოლაში. ფინიშთან მესამე გამოჩნდა შესახედაობით აშკარად გამორჩეული იერსახის მორბენალი — თბილისში მომუშავე გერმანელი ფინანსისტი კლაუს მიულერი.

ყურადღება მიიპყრო თბილისელმა 12 წლის მოსწავლემ ირაკლი ჯაბძემ, რომელიც მეოთხე იყო ფინიშთან. ყველაზე უმცროსი მონაწილე კი 9 წლისა იყო — ამირან ბარავი, რომელიც თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში ფეხბურთს ეუფლება. ყველაზე ხანდაზმული კი 84 წლის მხატვარი მიხეილ ვარდიშვილი იყო. ქალთა შორის ასპარეზობდა ინვალიდი ქალბატონი, 74 წლის თბილისელი ოლღა მესხი, რომელმაც გულის სტიმულატორით მანძილი მთლიანად გაირბინა.

შთამბეჭდავი ისიც იყო, რომ ექიმის ნებართვით დისტანციას გაუდგნენ ადამიანები, რომლებმაც მანამდე გადაიტანეს სხვადასხვა დაავადება. გარბენის სანახავად მოვიდა სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ირაკლი მეძმარიაშვილის თავკაცობით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ლადო კახაძე, საკრებულოს დეპუტატები ირაკლი ქავთარაძე და თამაზ სულაძე. ირაკლი ქავთარაძემ აქაც გამოავლინა სპორტული ჟინი და, როგორც ფინიშის შემდეგ თავად გვითხრა, სურდა თავი გამოეცადა, გაისად კი პატარა შვილიშვილთან ერთად აპირებს გარბენში მონაწილეობას.



*გარბენში გამარჯვებული ზიგმუნდ ზილბერშტეინი (შუაში), მეორე პრიზიორი ჰამლეტ მამიკონიანი (მარცხნივ) და მესამე პრიზიორი – კლაუს მიულერი.*

გაისად? დიახ, ასეთი გარბენი ამიერიდან ტრადიციად დამკვიდრდება და ყოველწლიურად გაიმართება, თანდათან მოიპოვებს ავტორიტეტს და, რაც მთავარია, მონაწილეთა რიცხვიც უდავოდ გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, ორგანიზატორებს სჯერათ.

მთავარია, მათ სჯეროდეთ!

**ირაკლი ხანდამიშვილი**

**ღია წერილი**

# სასწავლო დაწესებულებათა დირექტორებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, მშობლებს...

მაშფოთებს ის მდგომარეობა, რომელშიც ვხედავ ჩემი ქვეყნის ახალგაზრდობას. ასეთი სუსტი ფიზიკური კონდიციის მოზარდები არასოდეს გვყოლია. ბავშვთა ტუბერკულიოზი, ბრონქიტი, სქოლიოზი და ჰიპოდინამიით გამოწვეული სხვა დაავადებები საშინელ მომავალს უქადის ჩვენს გენოფონდს. ცალკე თემაა არასრულწლოვანთა შორის გავრცელებული ნარკომანია, ტოქსიკომანია და სხვა მავნე ჩვევები. მინდა მერწმუნოთ, რომ ამ სავალალო პერსპექტივიდან თავდაცვის ერთადერთი საშუალება მხოლოდ სპორტია. სამწუხაროდ, დღეს სპორტში მეცადინეობაც ძვირი ფუფუნებაა. ვინაიდან მშობელთა უმეტესობას არ გააჩნია თანხა ბავშვებისათვის სპორტული ფორმა-ინვენტარის შესაძენად. არც სკოლებს შეუძლია შეიძინოს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობა და ასე იკარგება შანსი, რითაც შეიძლება მოზარდის მავნე გარემოდან მოწყვეტა.

ამ შეჭირვების ჟამს თავს ვალდებულად ვთვლი შემოგთავაზოთ სხვა ქვეყნებში აპრობირებული და მასობრივად დანერგილი მეთოდი: მოსწავლეთა მშობლებში 30-40 თეთრის მოკრებით, სულ რაღაც 20-25 ლარად, ან თუნდაც თვით სკოლებში შრომის გაკვეთილებზე, შეგიძლიათ დაამზადოთ მაგიდები მკლავჭიდისათვის. თითოეულ სკოლაში 3-5 ასეთი მაგიდა მთლიანად მიიზიდავს კონტიგენტს. საკუთარ თავზე გამომიცდია, ყველა სუსტი ბავშვი მომეტებული ჟინით ივარჯიშებს, რათა არ ჩამორჩეს თანატოლებს. მკლავჭიდში ვარჯიშისათვის არ გჭირდებათ ფორმა. მერწმუნეთ, ამით განმტკიცდება სასკოლო მართლწესრიგიც. შინაარსიანი გახდება შესვენებები, გაცხოველდება კლასგარეშე მუშაობა, სრულიად უდანახარჯოდ ჩატარდება სასკოლათშორისო პირველობები. განსაკუთრებული ნიჭის ბავშვებს მივიწვევთ ცენტრალურ სექციებში.

მკლავჭიდის ფედერაცია და პირადად მე მზად ვართ ქმედითი დახმარება აღმოვუჩინოთ ყველა დაინტერესებულს. კონტაქტი — გაზეთ „ლელოს“ მეშვეობით.

**ერეკლე გურჩიანი**

**მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მკლავჭიდში**

**გამოხმაურება წერილზე: «მოგონებები «აილამაზე»**

# ავანთოთ მწვანე შუქი მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე



ვუერთდები გაზეთ „ლელოს“ 96-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მოგონებები „აილამაზე“, გამოთქმულ გულისტკივილს საქართველოს ალპინიზმის დღევანდელ სავალალო მდგომარეობაზე, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია იმითაც, რომ მწყობრიდანაა გამოსული ისეთი მნიშვნელოვანი კერა ქართველი და არა მხოლოდ ქართველი ალპინისტების მომზადებისა, როგორიც იყო ალპური ბანაკი „აილამა“.

ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთი ულამაზესი და გამორჩეული მწვერვალი „აილამა“, ასე ვთქვათ, პირდაპირ ბანაკის ეზოში დგას – ბანაკიდან ორიოდე საათის სავალზეა საუკეთესო კლდეებისა და ყინულის ლაბორატორია პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, ერთი დღის სავალზე კი გრანდიოზული „შხარას“ მასივია მწვერვალების დიდი არჩევანით, სადაც ნებისმიერი კვალიფიკაციის ალპინისტისთვის მოიძებნება საინტერესო მარშრუტი. მოგეხსენებათ, დღესდღეობით ჯერ კიდევ იმართება სტუდენტური ალპინიადები, სადაც ახალგაზრდები პირველად ეზიარებიან მთამსვლელობას და გამოიმუშავებენ მთაში სიარულის აუცილებელ ჩვევებს, ეუფლებიან ალპინიზმის საბაზისო ტექნიკას, მაგრამ იმისათვის, რომ აღიზარდოს ჩამოყალიბებული ალპინისტი, აუცილებელია შემდგომი ეტაპი ისეთ ალპინისტურ ბანაკში გაიაროს, როგორიც იყო „იალამა“, სადაც ყველა პირობა იყო იმისათვის, რომ მთამსვლელს, ასე ვთქვათ, აკადემიური განათლება მიეღო, რის გარეშეც უმაღლესი კლასის მთამსვლელის ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია. აღარაფერს ვამბობთ, ვთქვათ, ალპინიზმის ინსტრუქტორისა და მთის მაშველის მომზადებაზე.

კავკასიონი სულ მალე ძალიან პოპულარული გახდება, როგორც მთამსვლელებში, ისე მთის ტურისტებს შორის, უამრავი უცხოელი ივლის ჩვენს მთებში, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მომსახურება არც ისე ადვილი იქნება. კვალიფიციური კადრების არყოლის შემთხვევაში, უცხოელები თავად ჩამოიყვანენ თავიანთ მეგზურებს, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას იაფფასიან მზიდავებად გამოიყენებენ, როგორც ეს ხდება ჰიმალაებში, ანდებსა და კორდილიერებში. ისიც ცნობილია, რომ ალპინიზმის ინსტრუქტორისა და მთის მაშველის მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, ამდენად სანამ გვიან არ არის, ამ საქმეს დროულად უნდა ხელის შეშველება.

**შოთა ელისაშვილი,**

**საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციის გენერალური მდივანი**

*ფოტო შემოთავაზებულია წერილის ავტორის მიერ.*

**ტოტო ლოტო №01**

**ტირაჟის პროგრამა 13-14.01.2001**

13-14 იანვარს გაიმართება "საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის" ლატარიების: "ლოტო 6-42", "სუპერ 7", "ტოტო ფეხბურთი - 12 მატჩი", "ტოტო ფეხბურთი - 11 მატჩი", "სპორტული ლოტო", 2001 წლის 01 ტირაჟის გათამაშება.

"საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი" გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ წარმატებას!

**ტოტო ფეხბურთი 12 მატჩი**

**ჯეკ-პოტი: 10.373 ლარი**

2001 წლის 01 ტირაჟის პროგრამა (13-14 იანვარი, 2001წ.)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ბრედფორდი – მანჩესტერ იუნ. | 20-20-60 |
| 2. | ინგ. | არსენალი – ჩელსი | 60-30-10 |
| 3. | ინგ. | მანჩესტერ სიტი – ლიდსი | 30-40-30 |
| 4. | ინგ. | ვესტ ჰემი – სანდერლენდი | 30-40-30 |
| 5. | იტ. | რეჯინა – ატალანტა | 20-20-60 |
| 6. | იტ. | ბრეშა – პერუჯა | 20-30-50 |
| 7. | იტ. | უდინეზე – ლაციო | 30-40-30 |
| 8. | იტ. | ფიორენტინა – მილანი | 40-30-30 |
| 9. | ესპ. | სოსიედადი – ბილბაო | 20-30-50 |
| 10. | ესპ. | ნუმანსია – რაიო ვალეკანო | 20-40-40 |
| 11. | ესპ. | ლას პალმასი – ესპანიოლი | 40-40-20 |
| 12. | ესპ. | ვილიარეალი – სელტა | 40-40-20 |

**ტოტო ფეხბურთი 11 მატჩი**

2001 წლის 01 ტირაჟის პროგრამა (13-14 იანვარი, 2001წ.)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | იტ. | ინტერი – პარმა | 40-30-30 |
| 2. | იტ. | ფიორენტინა – მილანი | 40-30-30 |
| 3. | იტ. | იუვენტუსი – ბოლონია | 50-30-20 |
| 4. | იტ. | უდინეზე – ლაციო | 30-40-30 |
| 5. | ინგ. | არსენალი – ჩელსი | 60-30-10 |
| 6. | ინგ. | ასტონ ვილა – ლივერპული | 40-30-30 |
| 7. | ინგ. | ბრედფორდი – მანჩესტერ იუნ. | 20-20-60 |
| 8. | ინგ. | იფსვიჩი – ლესტერი | 30-40-30 |
| 9. | ესპ. | დეპორტივო – ვალენსია | 30-40-30 |
| 10. | ესპ. | ბარსელონა – ვალიადოლიდი | 60-20-20 |
| 11. | ესპ. | რეალი – ოვიედო | 50-30-20 |

**რა ჰქნან?** 

# ხელბურთელები თავს იტყუებენ, რათა საერთაშორისო ფედერაციიდან არ გარიცხონ...

წარუმატებლად დაიწყო 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი საქართველოს ვაჟი ხელბურთელებისთვის. ჩვენები III ჯგუფში გამოდიან თურქეთის, საბერძნეთის და ბოსნია-ჰერცოგოვინას გუნდებთან ერთად. სასტარტო მატჩი საქართველოს ნაკრებმა თურქეთში ჩაატარა და წააგო 16:28 (11:13), განმეორებითი შეხვედრა, როგორც წესი, თბილისში უნდა გამართულიყო, მაგრამ უსახლრობისა და სპორტის სასახლეში შექმნილი არასახარბიელო ვითარების გამო (გაუნათებლობა, სიცივე და ა.შ) მეორე შეხვედრაც თურქებთან სტუმრად ჩაატარა ჩვენმა ნაკრებმა, სამწუხაროდ, ამჯერადაც მარცხი — 24:26 (12:14), საუბედუროდ, ჯგუფის სხვა მეტოქეებთანაც თბილისში გასამართი მატჩები ჩვენებმა საბერძნეთსა (11-13.01) და ბოსნია-ჰერცოგოვინაში (19.21.01) სტუმრად უნდა ითამაშონ, რაც მინიმუმამდე ამცირებს წარმატების შანსებს. დავძენთ, რომ ხუთი შესარჩევი ჯგუფიდან 2-2 გადის შემდგომ ეტაპზე.

უნდა ჰქონოდა თუ არა წარმატების იმედი საქართველოს ნაკრებს, თუ ისინი საპასუხო მატჩებს შინ ჩაატარებდნენ?

— რა თქმა უნდა, წარმატებაზე ფიქრი შეიძლებოდა, მით უფრო, რომ შესანიშნავ ჯგუფში მოვხვდით. ახლა კი რა გამოდის, იძულებული ვართ, ყველა მატჩი მეტოქის მოედანზე ვითამაშოთ, აქედან გამომდინარე მოთამაშეთა ფსიქოლოგიური განწყობაც გასაგებია. ის კი არა, უსახსრობის გამო, გუნდი ავტობუსით მოგზაურობს — გვითხრა ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა თამაზ თევზაძემ.

გამოდის, რომ თავს ვიტყუებთ, საერთაშორისო ფედერაციიდან რომ არ გაგვრიცხონ?

***სხვა შედეგები:***

ბოსნია — საბერძნეთი 29:19 (17:9)

**I ჯგუფი**

ესტონეთი ბელარუსი 23:31 (7:18)

**II ჯგუფი**

ფინეთი — ბულგარეთი 30:22 (17:9)

**IV ჯგუფი**

ფარერები — რუმინეთი 16:27 (8:15)

ლიტვა — შვეიცარია 26:16 (12:9)

**V ჯგუფი**

კვიპროსი — ისრაელი 24:29 (10:17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## როქი „ტორპედოსა" და „ლოკომოტივს" შორის

ბევრს ალბათ კარგად ახსოვს: ზუსტად ამ ერთი წლისა და ერთი თვის წინათ, საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს სათავეში ორი მწვრთნელი დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი ჩაუყენეს თანაბარი უფლებამოსილებით. სფფ-ს ამ გადაწყვეტილებას ზოგი ცინიზმით შეხვდა, ზოგმა სერიოზულად მიიღო და ორხელისუფლებიანობის ტრადიციული ქართული გაგების საწინააღმდეგოდ, ოპტიმისტურად განეწყო. გაზეთი „ლელო" ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ ნაბიჯს მიესალმა და საგანგებო წერილიც გამოაქვეყნა სათაურით: „რატომ შეგვაშფოთა ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნამ?" (იხ. „ლელო" №99, 1999 წ.). მერე ამ წერილს გამოხმაურებებიც მოჰყვა. შეფასებებში მომხრეები სჭარბობდნენ და იმედს გამოთქვამდნენ, რომ მწვრთნელთა ეს დუეტი გაამართლებდა ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ.

ახლა, გარკვეული დროის შემდეგ, ბევრი, მათ შორის ურწმუნოებიც, დარწმუნდნენ, რომ ყიფიან-ძოძუაშვილის თანამშრომლობას ეროვნულ ნაკრებში ცუდი არაფერი მოუტანია, პირიქით!

ამ ორი შესანიშნავი მწვრთნელის შეხმატკბილებული მუშაობის საუკეთესო დასტურად დღეს უკვე ისიც გამოდგება, რომ ორივე სპეციალისტმა, არათუ ეროვნულ ნაკრებში, ერთ საფეხბურთო კლუბში მუშაობა გადაწყვიტა. ეს კლუბია ქუთაისის „ტორპედო", სადაც დავით ყიფიანი მუშაობს და ახლა მას რევაზ ძოძუაშვილიც შეუერთდება, რომელმაც თავის მხრივ მოულოდნელად, მაგრამ არგუმენტირებულად დატოვა დღეს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი — თბილისის „ლოკომოტივი". მართალია, ძოძუაშვილს კვლავ ლატვია და „სკონტო" ეპატიჟება, მაგრამ რაკი იგი ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელიცაა, საქართველოს ვერ დატოვებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუთაისში გადასვლა ძოძუაშვილს სერიოზულად გადაუწყვეტია და აღარაფერი შეიცვლება. აი „ლოკომოტივის" მესვეურები კი ნაახალწლევს მწვრთნელის ძიებაში იყვნენ და ბარე 5-6 სავარაუდო კანდიდატი ჰყავდათ მონიშნული, რომელთა შორის იყო საქართველოდან წასული სახელოვანი ვეტერანი ფეხბურთელი გივი ნოდია — თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", რუსთავის „გორდას", სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის" ექს-მთავარი მწვრთნელი. ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისშივე იგი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მწვრთნელად ითვლებოდა, აკი სფფ-ს მაშინდელმა მესვეურებმა მიანდეს კიდეც საქართველოს ნაკრების დაკომპლექტება და მომზადება ლიტვის გუნდთან სათამაშოდ.

ახლა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ სავსებით ლოგიკური ნაბიჯი გადადგა და ნოდიას თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა. აბა, სამშობლომონატრებული ქართველი კაცი ასეთ შეთავაზებას როგორ უარყოფდა? გუშინწინ რკინიგზის დეპარტამენტის მესვეურებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ძველი სტილით ახალ წელს ნოდია თბილისში ჩამოვა და გუნდს ჩაიბარებს.

თქმა არ უნდა, რკინიგზელთა ახალ მწვრთნელს მუშაობა მეტად ექსტრემალურ პირობებში მოუხდება. სულ რაღაც ერთ თვეში, ვიდრე მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატი განახლდება, მან უნდა მოასწროს ფაქტობრივად ახალი კოლექტივის ჩამოყალიბება, ვინაიდან სავარაუდო მონაცემებით, გუნდის ძირითადი შემადგენლობის უმეტესი ნაწილი სხვა კლუბებში აპირებს გადასვლას. მაგალითად, სილაგაძე, თოდუა, კვარაცხელია — ქუთაისის „ტორპედოში", აბრამიძე, პარამონოვი, გონჩაროვი — რიგის „სკონტოში" და ა.შ. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ რკინიგზელი გუნდის მესვეურები ოფიციალურად აცხადებენ — მათი ნებართვის გარეშე „ლოკომოტივიდან" ვერავინ წავა.

ასე თუ ისე, მწვრთნელთა „როქი" თბილისსა და ქუთაისს შორის გათამაშდა, რომელ გუნდს ჩააყენებს იგი მომგებიან პოზიციაში? ამას დრო გვიჩვენებს.

**მიმომხილველი**



გივი ნოდია

## გივი ნოდია — „ლოკომოტივიდან" – „ლოკომოტივში"!

ფეხბურთელობისას გივი ნოდიამ თბილისის „დინამოდან" სწორედ „ლოკომოტივს" მიაშურა, ოღონდ, მოსკოვისას და მესე გოლიც რკინიგზელთა მაისურით შეაგდო. თბილისის „დინამოს" მწვრთნელობიდან წასულმაც ისევ „ლოკომოტივი" არჩია, ამჯერად სანკტ-პეტერბურგს და საკმაოდ წარმატებითაც მოღვაწეობდა, თუმცა ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი და ისიც საკუთარი ნებით წამოვიდა კლუბიდან. რამდენიმე თვის უმუშევრობის შემდეგ გივი ნოდია ისევ „ლოკომოტივს" ჩაუდგება სათავეში, ამჯერად თბილისისას...

საინტერესო კიდევ ისაა, რომ უკვე მეორედ ხდება, გივი ნოდია რევაზ ძოძუშვილის ყოფილ კლუბს რომ იბარებს.

● ***ბატონო გივი, გილოცავთ ახალ თანამდებობას.***

— მილოცვამდე კიდევ რამდენიმე დღეა, თუმცა, ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია...

● ***საქართველოში როდის ჩამობრძანდებით?***

— 13 იანვარს სანკტ-პეტერბურგიდან პირდაპირი რეისით გამოვფრინდები. ტელეფონით უკვე ვესაუბრე ბატონ აკაკი ჩხაიძეს, ფაქტობრივად, ყველაფერზე შევთანხმდით, მაგრამ წვრილი ყველაფერს მაშინ დაესმება, პირისპირ რომ დავსხდებით. კონტრაქტსაც თბილისში მოვაწერთ ხელს...

● ***საქართველოს მონატრებული იქნებით...***

— რა თქმა უნდა, ერთი სული მაქვს როდის ჩამოვალ, რაც უნდა კარგად იყო უცხოეთში, გული მაინც შინისკენ გიწევს.

● ***რუსეთში მუშაობის გაგრძელება არ გსურდათ თუ შემოთავაზებები არ იყო?***

— უმაღლესი ლიგიდან არა და პირველი ლიგის რამდენიმე კლუბთან მქონდა მოლაპარაკებები. უმაღლესი ლიგა სხვა სისტემაა, იქ თავისი ხალხი უნდათ. ჰოდა, როგორც კი აკაკი ჩხაიძის წინადადება გავიგე, მყისვე დავთანხმდი. რუსეთის პირველ ლიგაში მუშაობას საქართველოს უმაღლეს ლიგაში მწვრთნელობა გაცილებით სჯობს, თანაც ლიდერ გუნდში და საუკეთესო პირობებით. სულ რომ არაფერი, შინ ვბრუნდები...

● ***უკვე მეორედ ხდება, რომ რევაზ ძოძუაშვილის ყოფილ გუნდს უდგებით სათავეში...***

— ეგ ერთადერთი ხელისშემშლელი პირობა იყო, როგორც კი შემომთავაზეს, მეც იგივე კითხვა დამებადა. გავიგე, რომ რეზო საკუთარი განცხადებით წასულა გუნდიდან, მაგრამ, სანამ პირადად არ ვესაუბრები, არ მოვისვენებ. როგორც ვიცი, ახლა ლატვიაშია და ჯერჯერობით ვერ ვუკავშირდები. მაგრამ ვიმეორებ, აუცილებლად დავურეკავ, არ მინდა ამას გაუგებრობა მოჰყვეს

● ***ოჯახმა თუ მოგიწონათ არჩევანი?***

— რა თქმა უნდა, მეუღლესთან კონსულტაცია მქონდა. ისიც ძალზე გახარებულია.

● ***თქვენი ვაჟი, ალექსანდრე საკმაოდ კარგად თამაშობდა ფეხბურთს, პეტერბურგშივე დადიოდა ერთ-ერთ უძველეს საფეხბურთო სკოლა — „სპორტში". ახლა თუ თამაშობს?***

— არა, საშკამ მცირე ოპერაცია გაიკეთა და ფეხბურთს ჩამოშორდა. ახლა სტუდენტია, აქვე სწავლობს.

● ***პეტერბურგის „ლოკომოტივზე" გული თუ გწყდებათ?***

— თავისებურად, რა თქმა უნდა. ოთხი წელიწადი გავატარე ამ გუნდში და ბოლოს უმაღლეს ლიგაში გადასვლა დავგეგმეთ. კლუბის პრეზიდენტი აქსიონენკო ყველანაირად ხელს მიწყობდა, ძმები ჯელაძეებიც ჩემთან იყვნენ, სერიოზული გუნდი მყავდა, სულ ბოლოს მაყურებელთა რაოდენობა 6000-მდე ავიდა, არადა, დასაწყისში სულ 200 კაცი დადიოდა სტადიონზე. მოკლედ, ყველაფრისთვის მზად ვიყავით, მაგრამ როგორც კი კლუბის პრეზიდენტი აქსიონენკო ნოვოსიბირსკში გუბერნატორის თანაშემწედ გადაიყვანეს, ყველაფერი წყალში ჩაიყარა, ახალ პრეზიდენტს ფეხბურთი არ აინტერესებდა და მეც დავტოვე გუნდი...

● ***მაშასადამე, ისევ „ლოკომოტივში". ამ გუნდს კი, მოგეხსენებათ, დიდი ამბიციები აქვს...***

— ვიცი, პრესას თვალს ვადევნებდი. ბატონმა აკაკი ჩხაიძემაც ტელეფონით მითხრა ამის შესახებ, მე მზად ვარ, სხვაგვარად არც შეიძლება, მოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ესაუბრა
**მამუკა კვარაცხელია,**
სფფ-ს პრეს-ატაშე.






*უეფა-ს სახელობითი ვიმპელი ოთარ გუნთაძეს*

*ფოტოზე: ოთარ გუნთაძე (შუაში) მალტელ თანამსაჯებთან ერთად.*

## უეფა ოთარ გუნთაძეს მადლობით ისტუმრებს...

### ფაქსი სფფ-ს უეფადან ოთარ გუნთაძის სახელზე:

***„ჩვენ შევიტყვეთ, რომ 1999 წლის 31 დეკემბერს თქვენ შეწყვიტეთ საერთაშორისო სამსაჯო კარიერა.***

***ჩვენი თანამშრომლობის ხუთწლიანი ვადის აღსანიშნავად გიგზავნით უეფას ვიმპელს, რომელზედაც თქვენი გვარ-სახელია ამოქარგული. მადლობელი ვართ, რომ მოემსახურეთ ჩვენი ეგიდით გამართულ საფეხბურთო მატჩებს და, გვჯერა, რომ არც თქვენ დაივიწყებთ ამ მდიდარ გამოცდილებას. უეფას კარგად ესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია მატჩების ნორმალურად მსაჯობა, ამიტომ მადლობას გიხდით თქვენს მიერ გაწეული სამსახურისთვის.***

***გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ და სპორტულ საქმიანობაში. პატივისცემით,***

ივან კორნიუ,
*უეფას სამსაჯო მენეჯერი"*

ლელო-ს ამ ყოველკვირეული დამატების მე-11 ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 იანვარს.
ქართული ფეხბურთი

## ჰიმნი თბილისის „ლოკომოტივს"

***ტექსტი: ქართლოს ქასრაძე***
***კომპოზიტორი ჯერ უცნობია!***

*გამარჯვების მოლოდინში ვართ,*
*გულები გადნა თქვენი ლოდინით,*
*ვინ შეგაჩერებთ? რა შეგაჩერებთ?*
*უტევს თბილისის „ლოკომოტივი".*
*ევროპისაკენ! ევროპისაკენ!*
*ასე არასდროს არ გიმღერია,*
*თასი დაცალეთ, თქვენ გენაცვალეთ,*
*ბიჭებო ახლა თქვენი ჯერია.*
*გამარჯვებიდან — გამარჯვებისკენ!*
*ელმავალები ერთხმად მოგკივით,*
*როგორც ვულკანი ისე გუგუნებს —*
*„ლოკომოტივი", „ლოკომოტივი".*
*არ შეიძლება თქვენ რომ შეჩერდეთ,*
*თქვენი ცა აღარ დაიბინდება,*
*გამარჯვებისკენ, გამარჯვებისკენ!*
*მოგძახით ჩვენი ერის დიდება.*
*დარტყმა, დარტყმა და...*
*არის, ბიჭებო!*
*სიხარულია იმერ-ამიერ,*
*„ლოკომოტივო", „ლოკომოტივო",*
*სულ იმარჯვებდე მრავალჟამიერ!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «სახალხო გაზეთის» ვერსიით

ქართულმა „სახალხო გაზეთმა" გამოაქვეყნა ქვეყნის XX საუკუნის რჩეული ფეხბურთელებისა და მწვრთნელების საკუთარი ვერსია. საუკუნის გუნდი ასე გამოიყურება: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი. საქართველოში მომუშავე რჩეული მწვრთნელები — ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე. ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე უცხოელ მწვრთნელთაგან საუკეთესოებად დასახელდნენ მიხეილ იაკუშინი, გავრილ კაჩალინი და ასირ გალპერინი.

საუკუნის რჩეულ გუნდებად მიჩნიეს: „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (ქუთაისი), „გურია" (ლანჩხუთი). საუკეთესო მეკარეების ხუთეული ასე გამოიყურება: სერგო კოტრიკაძე, ანზორ კავზაშვილი, ოთარ გაბელია, ვლადიმერ მარღანია, რამაზ ურუშაძე.

# უკრაინაში XX საუკუნის ნაკრები გამოავლინეს

სპეციალისტების მონაწილეობით გამართულმა საყოველთაო რეფერენდუმმა გამოავლინა XX საუკუნეში უკრაინის სიმბოლური საფეხბურთო ნაკრები გუნდი. მასში შევიდნენ: **ევგენი რუდაკოვი, ოლეგ ლუჟნი, მიხაილ ფომენკო, ვასილი ტურიანჩიკი, ანატოლი დემიანენკო, იოჟეფ საბო, იური ვოინოვი, ვიქტორ კოლოტოვი, ანდრეი შევჩენკო, იგორ მელანოვი და ოლეგ ბლოხინი.**

## ნახეთ როგორ თამაშობენ ფეხბურთს სამინისტროების და დეპარტამენტების წარმომადგენლები

ამ ორგანიზაციების მონაწილეობით მინიფეხბურთში ტურნირის ჩატარება პროფკავშირულმა სპორტულმა საზოგადოებამ „შევარდენმა" სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირთან ერთად ითავა. ტურნირის დევიზია **„სალამი XXI საუკუნეს!"**

შეჯიბრებები ჩატარდება პროფკავშირების სპორტულ ბაზებზე: „ბურევესტნიკის" და „მძლეოსნობის სასახლის" დარბაზებში 9-14 იანვარს. დასაწყისი 11 საათზე.

# საზღვარგარეთის ქვეყნების ჩემპიონატები

## იტალია

### სერია A

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 13 | 10 | 2 | 1 | 25-8 | 32 |
| იუვენტუსი | 13 | 6 | 6 | 1 | 22-13 | 24 |
| ატალანტა | 13 | 6 | 4 | 3 | 16-11 | 22 |
| ფიორენტინა | 13 | 5 | 6 | 2 | 25-19 | 21 |
| ლაციო | 13 | 6 | 3 | 4 | 20-14 | 21 |
| მილანი | 13 | 5 | 5 | 3 | 22-17 | 20 |
| ბოლონია | 13 | 6 | 2 | 5 | 18-16 | 20 |
| უდინეზე | 13 | 6 | 1 | 6 | 22-18 | 19 |
| პერუჯა | 13 | 5 | 4 | 4 | 20-18 | 19 |
| პარმა | 13 | 5 | 3 | 5 | 15-14 | 18 |
| ინტერი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-16 | 17 |
| ლეჩე | 13 | 4 | 4 | 5 | 15-22 | 16 |
| ვიჩენცა | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| ნაპოლი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-21 | 14 |
| ვერონა | 13 | 2 | 6 | 5 | 16-24 | 12 |
| რეჯინა | 13 | 3 | 1 | 9 | 10-25 | 10 |
| ბრეშა | 13 | 1 | 6 | 6 | 13-19 | 9 |
| ბარი | 13 | 2 | 2 | 9 | 10-22 | 8 |

*შემდეგი ტური — 14 იანვარს*

## პორტუგალია

### პირველი ლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტო | 16 | 12 | 1 | 3 | 36-13 | 37 |
| ბოავიშტა | 16 | 10 | 5 | 1 | 36-12 | 35 |
| სპორტინგი | 16 | 10 | 3 | 3 | 27-15 | 33 |
| ბრაგა | 16 | 9 | 4 | 3 | 29-20 | 31 |
| ბენფიკა | 16 | 8 | 4 | 4 | 24-15 | 28 |
| ბელენენსეში | 16 | 8 | 4 | 4 | 19-14 | 28 |
| სალგეირუში | 16 | 8 | 0 | 8 | 19-26 | 24 |
| ფერეირა | 16 | 6 | 5 | 5 | 21-15 | 23 |
| მარიტიმუ | 15 | 6 | 4 | 5 | 17-13 | 22 |
| ლერია | 16 | 5 | 6 | 5 | 18-25 | 21 |
| ფარენსე | 16 | 5 | 5 | 6 | 20-23 | 20 |
| ბეირა მარი | 16 | 5 | 4 | 7 | 19-25 | 19 |
| ალვერკა | 16 | 5 | 3 | 8 | 19-28 | 18 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 3 | 8 | 18-25 | 15 |
| კამპომაიორენ. | 16 | 2 | 7 | 7 | 14-26 | 13 |
| ავეში | 16 | 2 | 4 | 10 | 16-28 | 10 |
| ვისენტე | 16 | 2 | 4 | 10 | 10-23 | 10 |
| ამადორა | 16 | 2 | 2 | 12 | 12-28 | 8 |

*გიმარაეში — მარიტიმუ 08.01 (დასრულდა გვიან)*

## საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 13 | 10 | 2 | 1 | 40-12 | 32 |
| პანათინაიკოსი | 13 | 8 | 5 | 0 | 23-7 | 29 |
| აეკი | 13 | 7 | 3 | 3 | 26-20 | 24 |
| ირაკლისი | 13 | 7 | 2 | 4 | 17-13 | 23 |
| პაოკი | 13 | 6 | 5 | 2 | 27-22 | 23 |
| იონიკოსი | 13 | 6 | 4 | 3 | 11-17 | 22 |
| ეთნიკოსი | 13 | 6 | 2 | 5 | 17-22 | 20 |
| არისი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-12 | 19 |
| ქსანტი | 13 | 5 | 3 | 5 | 9-13 | 18 |
| პანაჰაიკი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-22 | 14 |
| პანიონისი | 12 | 2 | 6 | 4 | 11-16 | 12 |
| ათინაიკოსი | 13 | 3 | 1 | 9 | 16-26 | 10 |
| იანინა | 12 | 2 | 3 | 7 | 17-24 | 9 |
| ოფი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-23 | 9 |
| კალამატა | 13 | 1 | 5 | 7 | 18-27 | 8 |
| პანილიაკოსი | 13 | 1 | 5 | 7 | 9-21 | 8 |

**გამოტოვებული მატჩი:**

8.01. ეთნიკოსი — ქსანტი 1-0, იონიკოსი — პაოკი 2-2.

10.01. იანინა — პანიონისი

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 17 | 10 | 5 | 2 | 29-10 | 35 |
| რეალი | 16 | 11 | 2 | 3 | 37-19 | 35 |
| დეპორტივო | 17 | 9 | 4 | 4 | 29-17 | 31 |
| ბარსელონა | 17 | 9 | 3 | 5 | 35-26 | 30 |
| მალიორკა | 17 | 7 | 6 | 4 | 23-21 | 27 |
| ვალეკანო | 17 | 6 | 7 | 4 | 35-27 | 25 |
| ალავესი | 17 | 7 | 3 | 7 | 26-21 | 24 |
| მალაგა | 17 | 7 | 3 | 7 | 28-26 | 24 |
| ლას პალმასი | 17 | 7 | 3 | 7 | 21-34 | 24 |
| ვილიარეალი | 17 | 6 | 5 | 6 | 20-20 | 23 |
| ოვიედო | 17 | 7 | 2 | 8 | 22-28 | 23 |
| ვალიადოლიდი | 17 | 4 | 9 | 4 | 19-20 | 21 |
| ესპანიოლი | 17 | 6 | 3 | 8 | 19-21 | 21 |
| სარაგოსა | 16 | 4 | 8 | 4 | 19-17 | 20 |
| ბილბაო | 17 | 5 | 5 | 7 | 22-24 | 20 |
| სელტა | 17 | 5 | 4 | 8 | 21-27 | 19 |
| ოსასუნა | 17 | 3 | 7 | 7 | 17-24 | 16 |
| ნუმანსია | 17 | 4 | 4 | 9 | 18-28 | 16 |
| რასინგი | 17 | 3 | 5 | 9 | 19-29 | 14 |
| სოსიედადი | 17 | 3 | 4 | 10 | 16-36 | 13 |

*შემდეგი ტური — 14 იანვარს*

# ბავშვთა ფეხბურთი



## „საბურთალო-1" გამარჯვებით გვეცნობა



როგორც ვიუწყებოდით („ლელო" №103, 2000 წ) მინიფეხბურთში „ბენდელას თასის" გათამაშებაში ჭაბუკთა შორის საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" პირველმა გუნდმა (მწვრთნელები მალხაზ რაზმაძე, კობა მჟავანაძე) იმარჯვა, რომელმაც ფინალში შევარდნელ თანატოლებს სძლია 5-0. გამარჯვებულთაგან საუკეთესო ფეხბურთელისა და ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა თორნიკე უხურგულაშვილმა, ხოლო ამ სკოლის მეორე გუნდის ფეხბურთელმა ლევან გურევიჩმა ულამაზესი გოლის პრიზი დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო სკოლა „საბურთალო" (დირექტორი კახა ჭუმბურიძე, კლუბის პრეზიდენტი გიგა არევაძე) ოთხი თვის წინათ გაიხსნა, ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია და სკოლის აღსაზრდელები უკვე აღწევენ წარმატებებს სფფ-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.

*სურათებზე. ზევით: ფინალისტები „საბურთალო" — „შევარდენი", იქნებ სწორედ მათ შორის არიან ქართული ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები; მარცხენა ფოტოზე: უტევს საბურთალოელი ლევან ყნია (მარცხნივ).*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*

## დარასელიას პრიზი „ნორჩ დინამოელს"

გასული წლისა და საუკუნის მიწურულს „ნორჩი დინამოელის" ბაზაზე 16 გუნდის მონაწილეობით ჩატარდა ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 1991-92 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის.

უძლიერესის სახელი დაისაკუთრა და მთავარ პრიზს დაეუფლა „ნორჩი დინამოელის" გუნდი (მწვრთნელი გოჩა ხიტირი), მეორე ადგილზე კი 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები გავიდნენ.

საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ე. დიასამიძე, ტექნიკურ ფეხბურთელად ლ. შარტავა, საუკეთესო თავდამსხმელად გ. ილურიძე, საუკეთესო მწვრთნელად გ. ხიტირი.



## პატრიოტული ხმა მარნეულიდან...



რომან ტაბატაძე ყოფილი ფეხბურთელია. 1986-91 წლებში მარნეულის „ალგეთისა" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრების ღირსებას იცავდა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ერთი ხანობა „ალგეთის" ვიცე-პრეზიდენტი იყო. გუნდი 1993-96 წლებში ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდიოდა. ახლა რომანს მშობლიურ სოფელ წერეთელში საფეხბურთო სექციის გახსნა გადაუწყვეტია. — „ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საფეხბურთო სკოლაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ამიტომ გვსურს პირველ ხანებში მარნეულის რაიონის ორ ქართულ სოფელში წერეთელსა და ორჯონიკიძეში სასწავლო ჯგუფები ჩამოვაყალიბოთ 7-12 წლის ბავშვებისათვის. სოფლის მოსახლეობა ფეხბურთით დაინტერესებულია, გვაქვს ორი მოედანი, რომელზეც მუდმივად იმართება სოფლების პირველობები, ადგილობრივ ფეხბურთელთა სახელობის ტურნირები, ამხანაგური მატჩები. ბავშვების თბილისში ჩამოყვანა რადგან შეუძლებელია, აქვე გვსურს ჯგუფების გახსნა და გვინდა ორი მწვრთნელის მოწვევა, რომლებსაც ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. თბილისიდან მარნეულში მათი მგზავრობის ხარჯებს სოფლების გამგეობები გაიღებენ. მწვრთნელთა მოწვევით მუშაობას ორგანიზებული სახე მიეცემა. ფეხბურთის ფედერაცია, იმედია, ბურთებით, ფორმებით და სხვა საფეხბურთო ინვენტარით მოგვამარაგებს".



## რობი ფაულერი: ჩემს მომავალს თავად გადავწყვეტ!

**გუშინწინ ინგლისის „ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გუნდის მთავარმა გოლეადორმა რობი ფაულერმა უარი განაცხადა კონტრაქტის გაგრძელებაზე — აწი, თვითონ გადავწყვეტ, სად გავაგრძელო სპორტული კარიერაო. ინგლისური გაზეთების ცნობით, ფორვარდს „ჩელსი" ეპატიჟება.**

## ედმუნდო იტალიაში ბრუნდება

ბრაზილიის „ვასკო და გამას" და ეროვნული ნაკრების ფორვარდი ედმუნდო, რომელიც ჭირვეული ხასიათითაა ცნობილი და მეტსახელად „მხეცი" შეარქვეს, კვლავ ბრუნდება სათამაშოდ იტალიაში. ამჯერად იგი სერია A-ს აუტსაიდერ „ნაპოლიში" გამოვა.

## არ გაგიმართლა, ყომარბაზო!

ლონდონში საქვეყნოდ ცნობილმა „უილიამ ჰილის" ბუკმეკერულმა კანტორამ შაბათს მიიღო თავის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ფსონი, როცა პროფესიულ და სამოყვარულო კლუბებს შორის ინგლისის სათასო მატჩში ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ათი ათასი გირვანქა სტერლინგი დადო რანგით გამოუცდელი გუნდის მოგებაზე (ლაპარაკია პრემიერ-ლიგის „ჩარლტონისა" და რომელიღაც „დაგენჰემ და რედბრიჯის" შეხვედრაზე). ყომარბაზს კინაღამ გაუმართლა. მატჩის დამთავრებამდე სულ ოთხი წუთი რჩებოდა, როცა „ჩარლტონმა" ანგარიში გაათანაბრა!

## მეექვსე ფინალისტიც გაირკვა — კოსტა-რიკა!

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი წლეულს პირველად კონკაკაფის ზონაში განახლდა, სადაც ფინალური ექვსეულის მხოლოდ ერთი საგზური თამაშდებოდა. აქამდე ეს უფლება მოიპოვეს აშშ-ს, მექსიკის, იამაიკის, გონდურასისა და ტრინიდადის ნაკრებმა გუნდებმა. და აი, შაბათს, ღამით, მაიამიში „ორანჟ ბოულის" ცნობილ სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ დამატებით მატჩში წარსდგნენ კოსტა-რიკისა და გვატემალის ნაკრებები (აქამდე ისინი 56-ჯერ შეხვედრიან, 26-ჯერ გაიმარჯვა კოსტა-რიკამ, 15-ჯერ გვატემალამ, 15-იც ფრედ დასრულდა). ამჯერადაც კოსტარიკელებმა იმარჯვეს ანგარიშით 5-2 (0-1 რუისი, 1-1 ვანჩოლე, 2-1 ფონსეკა, 3-1 პარკსი, 4-1 ფონსეკა, 5-1 სოტო, 5-2 რუისი, 89).



გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ კონკაკაფის ზონიდან იაპონია-კორეაში სამი ნაკრები გაემგზავრება.

*სურათზე: ფონსეკას გოლებმა კოსტა-რიკა ფინალურ ტურნირში გაიყვანა.*

# კახი კალაძე: საიდან მოიგონეთ ეს ჭორი?

## არავითარი შეხვედრა ჰიტცფელდთან ტოკიოში არ მქონია!

**შაბათს ზოგიერთმა გაზეთმა და საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტოკიოში, 3 იანვარს კორეა-იაპონიისა და მსოფლიო ნაკრების მატჩის შემდეგ მოხდა არაოფიციალური შეხვედრა კიევის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ კახი კალაძისა და მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს შორის. მხარეები, თითქოს, საბოლოოდ შეთანხმებულან ყველა საკითხზე და დღე-დღეზე ეს ტრანსფერი განხორციელდებაო. სიმართლე გითხრათ, ამ ინფორმაციის სისწორეში ძლიერ დავეჭვდით, ვინაიდან ვიცოდით, რომ კახის წინასწარი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული „მილანთან", ამიტომ ვთხოვეთ „ქართული ფეხბურთის" კიეველ კორესპონდენტს უშუალოდ დაკავშირებოდა ქართველ ლეგიონერს.**




● ***კახი, მართლა შეხვდით ტოკიოში „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს?***

— რას ამბობთ, ეს კაცი თვალით არ მინახავს, საიდან მომიგონეთ ჟურნალისტებმა ეს ჭორი? ნაცნობ-მეგობრები მირეკავენ და „ბაიერნში" გადასვლას მილოცავენ... ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს.

● ***ესე იგი, ამტკიცებთ, რომ იაპონიაში სტუმრობისას ჰერ ოტმარს არ შეხვედრიხართ?***

— გიმეორებთ, არიგო საკის გარდა, რომელიც მსოფლიო ნაკრებს თავკაცობდა, საუბარი არავისთან მქონია. იაპონიიდან პირდაპირ კიევში ჩამოვფრინდი.

● ***თქვენი აზრით, ვის წისქვილზე ასხამს წყალს ასეთი დეზინფორმაციის გავრცელება?***

— ძნელი სათქმელია... ამიერიდან იძულებული ვხდები შევზღუდო კონტაქტები ჟურნალისტებთან. გთხოვთ, ყველას გადასცეთ — თუ რაიმე გაინტერესებთ ჩემს შესახებ, მიმართეთ საინტერნეტო საიტს — **http://www.dynamo.kiev.ua**). იქ ამოიკითხავთ აბსოლუტურად ყველაფერს, როგორც გუნდის მიმდინარე ცხოვრებიდან, ისე ცალკეული ფეხბურთელების შესახებ.

● ***და მაინც, რას ფიქრობთ თქვენი მომავალი ტრანსფერის თაობაზე?***

— ამ დღეებში ყველაფერი გაირკვევა. ჯერჯერობით ჩემთან პირველად მოლაპარაკების უფლებით კვლავ „მილანი" სარგებლობს და აქედან გააკეთეთ დასკვნა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ფერგიუსონი დაინტერესდა

**„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ალექს ფერგიუსონი დაინტერესდა იტალიურ „ვიჩენცას" თავდამსხმელით ლუკა ტონითა და მცველ სტეფან ტომასით. მან „ვიჩენცაში" მიავლინა თავისი გუნდის სპორტული დირექტორი რონალდო საკრამოლა — ჩადი და გაიგე რა უღირთ იტალიელებს ეს ფეხბურთელებიო.**

## ბექჰემს ხელფასი გაუზარდეს

„მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ ხელფასი გაუზარდა დევიდ ბექჰემს. ამიერიდან იგი კვირაში 80 ათასი გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

## კოლიმორი «შტუტგარტში» გადადის

ბრიტანულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რომ პრემიერ-ლიგის კლუბმა „ბრედფორდმა" გერმანიის „შტუტგარტს" მიჰყიდა ფორვარდი სტენ კოლიმორი. კონტრაქტი ორწლიანია.

## კარგი წოდებაა — «წლის ჯენტლმენი»

**მოსკოვის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ვერსიით რუსულ ფეხბურთში „წლის ჯენტლმენად" აღიარეს მოსკოვის „სპარტაკის" კაპიტანი ეგორ ტიტოვი.**

**იგივე ტიტოვი მიიჩნიეს რუსეთის 2000 წლის საუკეთესო მოთამაშედ. მან 430 ქულა მოაგროვა და გვარიანად ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული ლოსკოვი („მოსკოვის „ლოკომოტივი") — 215 ქულა. მესამე ადგილზე გასულ გუსევზე (მოსკოვის „დინამო") ხომ აღარც კი ღირს ლაპარაკი — მან სულ 43 ქულა მოაგროვა.**

**საინტერესოა რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების აზრი ამ საუკეთესოს შერჩევისას: მიხეილ აშვეთია („ალანია") — 1. ტიტოვი, 2. რობსონი, 3. ლოსკოვი. ზურაბ წიკლაური (სამარის „კრილია სოვეტოვი") — 1. ტიტოვი, 2. ლოსკოვი, 3. კირიჩენკო. ნიჟნი ნოვგოროდში მოთამაშე ზურაბ ფოფხაძემ კი 1. ლოსკოვი. 2. სირხაევი და 3. ტიტოვი დაასახელა.**

## რატომ ცდილობენ ბერხკამპის გაყიდვას?

ევროპის ბოლო ჩემპიონატში დენის ბერხკამპი მშვენივრად თამაშობდა, მაგრამ როგორც კი ლონდონის „არსენალს" დაუბრუნდა, საქმე აშკარად ცუდად წაუვიდა. პირველი წრის დამთავრების შემდეგ მას სულ ორი გოლი აქვს გატანილი. დარტყმით, ილოცხლეთ, კარში უამრავს ურტყამს, აი შედეგი კი, როგორც ვნახეთ, არა ჩანს...

ამიტომაც არის, რომ მწვრთნელი არსენ ვენგერი ცდილობს ბერხკამპის გაყიდვას. გარდა ამისა, ზაფხულში ჰოლანდიელს საერთოდ უთავდება ხელშეკრულება, თავისუფალი აგენტი ხდება და წავა, სადაც მოისურვებს. როგორც ინგლისური პრესა იუწყება, როგორი სუსტიც არ უნდა იყოს ბერხკამპის ახლანდელი მზადყოფნა, ასე, არაფრის გარეშე „არსენალის" ხელმძღვანელობას მისი გაშვება არა სურს.

ამასობაში არსენ ვენგერმა უკვე დაადგა თვალი ჰოლანდიელის შემცვლელს. ეს არის ფრანგი თავდამსხმელი ლუი საა, რომელიც ახლა ლიდერობს პირველი დივიზიონის სნაიპერებს შორის. „საა ძალიან ნიჭიერია, — ამბობს ვენგერი, — მე იგი იან რაიტს მაგონებს. ისინი გარეგნულადაც ჰგვანან ერთმანეთს". ახლა ცნობილი არ არის, დათმობს კი ლუი საას ლონდონის „ფულჰემის" მფლობელი, ცნობილი ეგვიპტელი მილიარდერი მუჰამედ ალ-ფაიადი.

## ნერვები არა აქვს!

**ევროპის პირველობის მატჩში ჰოლანდიისა და ჩეხეთის ნაკრების შეხვედრაში იაპ სტამს ჩეხ გოლიათ იან კოლერის წინააღმდეგ მოუხდა თამაში. სტამი თვითონაც საკმაოდ მოსული ტანისაა, მაგრამ ამ მხრივ კოლერთან მაინც რა შესადარებელია. როცა ერთ-ერთ მომენტში მეტოქეები ერთმანეთს შეეტაკნენ, სტამს წარბი გაუსკდა. ჰოლანდიელებს ძალიან უნდოდათ სტამი მალე დაებრუნებინათ მინდორზე და იქვე სათადარიგოთა სკამზე დაადეს ნაკერები. ტელეოპერატორებმა თამაშის გადაღებას თავი დაანებეს და მთელი ყურადღება სტამს დაუთმეს. ყოველგვარი ანესთეზიის მიუხედავად, სტამი სრულიად აუღელვებლად იტანდა ამ უსიამოვნო პროცედურებს, მაგრამ მინდორზე დაბრუნების უფლება მაინც არ მისცეს.**

## გეცკო, რომელიც ადრე სნაიპერი იყო

32 წლის თავდამსხმელი ივან გეცკო კარგად არის ცნობილი ფეხბურთის სამყაროში. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშობდა. ლვოვის „კარპატის" სნაიპერი რუსეთის ლიგის კლუბებში — ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივსა" და „ალანიაშიც" გამოდიოდა, ახლა კი რანგით უკან დაიხია (ასაკი!) და კვიპროსის კლუბ აელ-თან (ქ. ლიმასოლი) გააფორმა ხელშეკრულება.

## მწვრთნელს ნუ გაალიზიანებ!

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო ძალიან გამომწვევად იქცეოდა არა მარტო ჟურნალისტების, არამედ თვით ნაკრების მოთამაშეების მიმართაც. ყველა გააოცა მისმა უცერემონიო დამოკიდებულებამ 20 წლის ვუნდერკინდ რონალდინიო გაუშოსადმი. ჯერ იყო და ვანდერლეი ახალგაზრდა თავდამსხმელს დაპირდა, რომ აუცილებლად ათამაშებდა ეკვადორის ნაკრებთან, მაგრამ უკანასკნელ მომენტში „გრემიოს" ფეხბურთელს უარი უთხრა. მიზეზი თითქოს ის იყო, რომ რონალდინიომ წონაში 4 კგ მოიმატა. ამით ბრალი კლუბ „გრემიოსაც" დაედო, რომელმაც აღშფოთება გამოთქვა ასეთი უსამართლობის გამო. თვით ფეხბურთელი კი ასე მოიქცა: ნაკრების მატჩის შემდეგ, სადაც იგი არ ათამაშეს, რონალდინიომ მონაწილეობა მიიღო ჟოაო აველანჟის თასის შეხვედრაში, სადაც გოლი გაიტანა თუ არა, დემონსტრაციულად აიწია მაისური და მუცელზე მიუთითა, მას არავითარი ლიპისმაგვარი არ ეტყობოდა.




ლუქსემბურგო ახალგაზრდა თავდამსხმელთან კამათს არ შეუდგა. შემდეგ მატჩს ბრაზილიელები პერუელებთან ატარებდნენ, რომელზედაც მწვრთნელმა რონალდინიო საერთოდ არ გამოიძახა.!

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## კინაღამ მეთორმეტე მოთამაშე გამოვიდა მინდორზე!

**ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე კინაღამ ერთი კურიოზული რამ აღინიშნა. ბელგიელები შვედებს ეთამაშებოდნენ. ბელგიელების მარჯვენა ნახევარმცველი გერტ ვერჰაიენი ისე გაერთო თამაშით, რომ ვერც კი შენიშნა, თურმე შეცვალეს, სანამ იქვე მინდვრის ხაზთან სამედიცინო დახმარებას უწევდნენ.**

**თამაშში უკვე აქტიურად ჩაერთო მისი შემცვლელი ნიკო ვან კერკჰოფენი, როცა ვერჰაიენმა მინდორზე დაბრუნების უფლება ითხოვა, და კინაღამ მიიღო ამის ნებართვა. გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა თვითონ არ მიაქცია შეცვლას ყურადღება. რომ სათადარიგო მსაჯი არა...**

## ერთსაც იმედი გაუცრუვდა და მეორესაც

რა დიდი აყალმაყალი ატყდა საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელ სილვენ ვილტორის „ბორდოდან" ლონდონის „არსენალში" გადასვლის გამო! ფრანგული კლუბი არ ანთავისუფლებდა ფორვარდს და საქმე ამ უკანასკნელის გაფიცვამდეც კი მივიდა. და აი, ვილტორმა, ბოლოს და ბოლოს, თავისას მიაღწია, გადავიდა ინგლისურ კლუბში და... მტკიცედ მოთავსდა სათადარიგოთა სკამზე.

როგორც ინგლისელი მიმომხილველები თვლიან, ახლა ვილტორი არაფრით ჰგავს იმ მრისხანე თავდამსხმელს, თავი რომ ევროპის ბოლო პირველობაზეც გამოიჩინა. ათასში ერთხელ კი გამოდის მინდორზე, მაგრამ, საერთოდ, ვერაფერს ხდება.

ერთი სიტყვით, დღეისათვის სილვენ ვილტორს სრულიად აუცრუვდა გული ინგლისზე, „არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერს კი ფეხბურთელზე, რომელზედაც ესოდენ დიდ იმედს ამყარებდა.

## ქალიც კი არ დაინდეს

**საფრანგეთის პირველობის XXII ტურის მატჩი „სტრასბურსა" და „მეცს" შორის მსაჯმა შეწყვიტა ერთი უჩვეულო და უსიამოვნო ამბის შემდეგ. ვიღაცა ვაიგულშემატკივარმა მოისროლა პეტარდა, იგი თავში მოხვდა თანამსაჯ ნელი ვიენოს. ეს არის ერთადერთი ქალი, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებს ემსახურება. ნელი ვიენო სასწრაფოდ გააგზავნეს ჰოსპიტალში, „სტრასბურს" კი დიდი სასჯელი არ ასცდება.**

## დავორ შუკერი კლუბს იცვლის

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი დავორ შუკერი (იუგოსლავია), მას შემდეგ, რაც ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" „ლივერპულიდან" შეიძინა აბუბაქარ კამარა, ვეღარ ხვდებოდა ამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში. ამიტომ მან სთხოვა „ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობას გაენთავისუფლებინათ იგი. გარდა ამისა, ლონდონელთა კლუბს სტოვებს მისი კაპიტანი სტივ ლომასი, რომელსაც სცვლიან „გლაზგო რეინჯერსის" კაპიტან ლორენცო ამორუზოში.

პირველი, ვინც შუკერის შეძენით დაინტერესდა, ლივერპულის „ევერტონია", რომელიც მაღალი კლასის თავდამსხმელის აშკარა ნაკლებობას განიცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „მატჩი“ ფერგიუსონი – ბოსნიჩი მოიგო.. ბარტეზმა!


ფერგიუსონი

შორეულ ავსტრალიაში დაბადებული სერბი მარკ ბოსნიჩი (1971 წ.) ოკეანიის ყველა დროის საუკეთესო მეკარედ ითვლება. ბავშვობიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარი იყო. ამიტომაც 19 წლისა სიდნეიდან მანჩესტერამდე მეტად გრძელ გზას არ შეუშინდა. სახელოვან კლუბში გასინჯვამ ბოსნიჩს სასურველი შედეგი არ მოუტანა, ამიტომ ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ სცადა ძალა და იქ დარჩა კიდეც. თანდათან არა მარტო ძირითადი მეკარე გახდა, არამედ ავტორიტეტიც მოიხვეჭა, ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ არცთუ სამაგალითო ქცევით გამოირჩეოდა, ცხადი გახდა, რომ მძიმე ხასიათი ჰქონდა. როგორც კი, „ასტონ ვილასთან“ ხელშეკრულება დაუმთავრდა, თავისუფალმა აგენტმა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიაკითხა. იქ დიდი სიამოვნებით მიიღეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საერთოდ არაფერი გადაუხდიათ, მთავარი კი სხვა იყო: გუნდიდან წავიდა განთქმული მეკარე პეტერ შმაიხელი. თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, „მანჩესტერ იუნაიტედში“ მაღალი კლასის გოლკიპერი მივიდა. რა ვუყოთ, რომ შმაიხელს მაინც ვერ შეედრებოდა. სინამდვილეში კი ბოსნიჩს ტრავმები დასჩემდა, მწვრთნელმაც ძალიან მალე ალმაცერად შეხედა. სწორედ ამის ნიშანი იყო იტალიელ მეკარე მასიმო ტაიბის მიწვევა. ბოსნიჩს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა, მაგრამ ტაიბი მაინც მისი მეტოქე არ აღმოჩნდა: ცოტა ხანს ითამაშა და სამშობლოში დაბრუნება არჩია.

მალე დაიწყო ლაპარაკი, რომ ფერგიუსონი კლუბში თვით ფაბიენ ბარტეზს იწვევდა. მოლაპარაკება „მონაკოსთან“ მალე დამთავრდა, თუმცა ბოსნიჩი იხტიბარს არ იტეხდა: „რა მოხდა, არსად წასვლას არ ვაპირებ. ბარტეზის მიწვევა იმას ნიშნას, რომ გუნდში ჯანსაღი კონკურენცია იქნება, სხვა არაფერი“. როცა ახალი მაისურების განაწილებაზე მიდგა საქმე, ბოსნიჩს იმედი ჰქონდა, რომ „პირველ ნომერს“ მიიღებდა. სინამდვილეში კი თვით ალექს ფერგიუსონის პირადი განკარგულებით „№13“ მისცეს. ცხადი იყო, ბოსნიჩის გუნდში გაჩერება ხელს არ აძლევდა: სიამოვნებით დაუთმობდა მას იჯარით გლაზგოს „სელტიკს“. ბოსნიჩი გაჯიუტდა, არც გლაზგოში წავიდა, არც „მიდლსბროსა“ და „ნიუკასლში“. უფრო მეტიც, მან „ოლიმპიადაზეც კი არ ითამაშა ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში, თუმცა, სამშობლოდან უხმობდნენ. „მე ისე იოლად როდი მითქვამს უარი ოლიმპიადაზე, მაგრამ ახლა ჩემი კარიერის საკითხი წყდება, შეიძლება ითქვას, ჩემი ღირსების საკითხიც“. ერთი სიტყვით, მან გადაწყვიტა თავგამოდებით ევარჯიშა და ფერგიუსონისათვის დაემტკიცებინა, თუ როგორი კლასის მეკარე იყო.


ფაბიენ ბარტეზი

ფერგიუსონი კი წარბსაც არ იხრიდა. იგი თითქოს მეკარის მცდელობას ვერ ამჩნევდა. ვარჯიშის დასაწყისში ისინი ერთმანეთს ესალმებოდნენ, შემდეგ ემშვიდობებოდნენ — ეს იყო და ეს. თუ ვარჯიშზე მწვრთნელის რაიმე მოსაზრების ახსნა იყო საჭირო, ამას ბოსნიჩს, ხაზგასმულად, მწვრთნელის თანაშემწე მაკლარენი თუ გააგებინებდა. როცა ბარტეზი ავადმყოფობდა (ეს საკმაოდ ხშირად ხდება), მაშინ კარს 37 წლის ჰოლანდიელი ვან დერ გოუვი იცავდა, სათადარიგოდ კი სრულიად ახალგაზრდა პოლ რახუბკას განაწესებდნენ ხოლმე.

მაინც რა დაუშავა ასეთი ბოსნიჩმა ფერგიუსონს, რითი დაკარგა მისი ნდობა და, პირდაპირ ვთქვათ, როგორ გადაიმტერა? ამაზე აშკარად და გულახდილად არავინ ლაპარაკობს. ხომ არ უწყრებოდა სერი ალექსი გამომწვევი საქციელისთვის არც კანტონას, არც შერინგემსა და კინს. ბექჰემსაც კი, რომელმაც ვარჯიშები გააცდინა, მწვრთნელმა აპატია. თურმე ფერგიუსონი ბოსნიჩს სწორედ იმ ეპიზოდისათვის გადაემტერა, როცა ავსტრალიელმა ბექჰემი დაიცვა. „ეტყობა, ჩემი გრძელი ენისთვის ვისჯები. არ შემიძლია, როცა საჭიროა, ენას კბილი დავაჭირო. საერთოდ კი, უსამართლობას ვერ ვითმენ“. ფერგიუსონი კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, წმინდა სპორტულ მოსაზრებებს იმიზეზებს: „კარს ის იცავს, ვინც ამ მომენტში უკეთესია. ის, რომ ბოსნიჩი არ თამაშობს, მხოლოდ ერთს ნიშნავს — იგი უარესია, ვიდრე კლუბის დანარჩენი მეკარეეები“. აი ბოსნიჩის პასუხი: „საიდან იცის ფერგიუსონმა, როგორ ვთამაშობ. მას ხომ მთელი ნახევარი წელია, კარში არ ვუნახივარ“. რაც არ ყოფილა, რას ნახავდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ბოსნიჩი კლუბის დატოვებაზე კატეგორიულ უარს ამბობს. „დუელი“ გრძელდება, მაგრამ როდის დამთავრდება ეს ისტორია? თვით ბოსნიჩი სულაც არ არის დაინტერესებული ასეთი მდგომარეობის გაგრძელებით. არადა, 29 წლისაა და ჯერჯერობით არაერთი „მთხოვნელი“ ჰყავს, მაგრამ ხვალ და ზეგ ხომ მათი რაოდენობა დაიკლებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი რას ჰკარგავს. როგორც უკვე ითქვა, მას ხომ მეკარეში საერთოდ არაფერი გადაუხდია.

**ბივი თორელი**

### ვინ შეცვლის ანდრეევს?

**თანამდებობიდან გადადგა როსტოვის „როსტსელმაშის“ მთავარი მწვრთნელი, ახლო წარსულში ლუგანსკის „ზარიასა“ და დონის როსტოვის ასკ-ს ცნობილი თავდამსხმელი.**

**იგი „როსტსელმაშში“ 1995 წლიდან მუშაობდა, საუკეთესო შედეგს (მეექვსე ადგილი) 998 წელს მიაღწია. მისგან როსტოვის კლუბის მესვეურები უკეთეს შედეგებს მოელოდნენ. დროებით კლუბს მეორე მწვრთნელი სერგეი ბალახნინი ავარჯიშებს.**

### „შტუტგარტში“ მოსალოდნელია მწვრთნელთა შეცვლა

ის, რომ ადრე ბუნდესლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „შტუტგარტს“ ახლა დაბალ დივიზიონში ჩამოქვეითება ემუქრება, ძალზე აღელვებს მის მესვეურებსა და გულშემატკივრებს.

კლუბის მესვეურები ჰანსი მიულერი და კარლჰაინც ფიორსტერი ფიქრობენ მწვრთნელ რალფ რანგნიკის შეცვლაზე, რომელმაც, მართალია, პირველი წრის მიწურულში, რომ იტყვიან, ცოტათი „კუდი მოიქნია“, მაგრამ მდგომარეობა მაინც მძიმეა.

ახლა „შტუტგარტის“ ახალ მწვრთნელად ასახელებენ კლაუს ტოპმიულერს, რომელიც ადრე იმავე ჰანსი მიულერსა და კარლჰაინც ფიორსტერთან ერთად გერმანიის ნაკრებში თამაშობდა.

მაშ ასე, შეიძლება ძველმა ნაცნობობამ გასჭრას.

### რუმინელი ნახევარმცველი კიევის „დინამოში“

კიევის „დინამომ“ კიდევ ერთ ლეგიონერთან გააფორმა კონტრაქტი. ეს არის 20 წლის ნახევარმცველი ფლორიან ჩერნატი. ბუქარესტის „დინამოს“ ფეხბურთელს ჩატარებული აქვს 15 მატჩი რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებში (4 გოლი).

### იყვირე, რამდენიც გინდა!

როცა ამას წინათ ლუის ფერნანდესი „პარი სენ-ჟერმენის“ მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს, მას კატეგორიულად მოსთხოვეს საფრანგეთის ჩემპიონატში კლუბის მდგომარეობის მკვეთრი გამოსწორება. რაც არ უნდა იყოს, საფრანგეთის ყველაზე მდიდარ კლუბს არ ეკადრება გათამაშების ცხრილში ასეთი ჩაძირვა.

როგორ არ ცდილობდა ლუის ფერნანდესი სათადარიგო მოთამაშეების სკამიდან თავისი „ამორფული შვილების“ (ფრანგული პრესის გამოთქმაა) ყვირილით გამოცოცხლებას! არაფერი გამოდის! „მილიონერი ფეხბურთელები“, რომ იტყვიან, დაბაჯბაჯებდნენ მინდორზე.

### „სკონტოს“ კვლავ არა ჰყავს კონკურენტი

**ლატვიის ჩემპიონატში 8 კლუბი მონაწილეობდა, რომლებიც 4 წრედ თამაშობდნენ. როცა კლუბი ზედიზედ 10-ჯერ ხდება ჩემპიონი, მის მაღალ კლასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რიგის „სკონტოს“ არც ამჯერად ჰყავდა სერიოზული კონკურენტი. მან 28 თამაშიდან 24 მოიგო, 3 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 1 წააგო, 74 ქულა მოაგროვა, ბურთების სხვაობით 86-10. კლუბს კვლავინდებურად წვრთნის სტარკოვი, მასში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. ლატვიის ფეხბურთის კლასზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ინგლისის კლუბში გამოდიან პახარი, ბრეიდელისი, ასტაფიევი, კოლინკო, რუბინი და სტეპანოვი. საინტერესო აზრი გამოთქვა ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუნტის ინდრიკსონმა: „როცა ლატვიის 25-30 ფეხბურთელი ითამაშებს ევროპის ქვეყნების ძლიერ ჩემპიონატებში, ჩვენ გვექნება იმედი, რომ ნაკრებიც მოიპოვებს წარმატებებს“.**

**65 ქულით მეორე ადგილზე გავიდა „ვენტსპილსი“, რომელმაც მხოლოდ ფინიშზე ჩამოიტოვა ვერცხლის მედლების მეორე პრეტენდენტი, ლიეპაიას „მეტალურგი“ (55). „მეტალურგს“ შუა სეზონში მოსკოველი სპეციალისტი შელესტი ჩაუდგა სათავეში, რომელსაც ამოცანა დაუსახეს ახალ სეზონში პირველი ადგილისთვის იბრძოლოს.**

**უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდა ოდესღაც კარგად ცნობილ „დაუგავას“, რომელმაც უკანასკნელი მერვე ადგილი დაიკავა.**

**სნაიპერთა შორის გაიმარჯვა კოლესნიჩენკომ („სკონტო“) — 17 გოლი გაიტანა. მეორეა ბეზბოროდოვი („ვენტსპილსი“) — 15, მესამე — მიხოლაპი („სკონტო“) — 12 გოლი.**

### სისხლმა უყივლა- თავისიანი ურჩევნია

მილანის „ინტერის“ ირლანდიელი თავდამსხმელი რობი კინი იჯარის წესით „ლიდს იუნაიტედში“ გადავიდა. შეთანხმების ძალით, როგორც კი დამთავრდება ეს სეზონი, „ლიდსი“ საერთოდ გამოისყიდის კინს — 17 მილიონ დოლარად.

თუმცა კინს სხვა ინგლისური კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მან „ლიდსი“ იმიტომ აირჩია, რომ გუნდს ირლანდიელი დევიდ ო'ლირი წვრთნის.

### ჩემპიონატი 10 მარტს დაიწყება

**როგორც რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის საბჭომ გამოაცხადა, ქვეყნის ჩემპიონატი (უმაღლესი დივიზიონი) 10 მარტს დაიწყება, პირველი დივიზიონის კლუბების შეჯიბრება კი 1 აპრილს.**

**ორივე დივიზიონის კალენდარი საბჭოს 18 იანვრის სხდომაზე დამტკიცდება.**

### ყველაზე უდისციპლინო რომანცევი აღმოჩნდა

**ყველაზე უდისციპლინო რუსეთის უმაღლესი დივიზიონის მთავარ მწვრთნელებს შორის მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელი ოლეგ რომანცევი აღმოჩნდა. მატჩების შემდეგ პრეს-კონფერენციების სისტემატური გაცდენისთვის (ეს კი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ სავალდებულოდ არის ცნობილი) მან გადაიხადა 90 ათასი რუბლი ჯარიმა.**

### საიდან სადაო...

მას შემდეგ, რაც „ტორპედო — ზილის“ მთავარ მწვრთნელ ბორის იგნატიევს 31 დეკემბერს კონტრაქტის ვადა ამოეწურა, მას გუნდის უმაღლეს ლიგაში გადაყვანისათვის დიდი მადლობა გადაუხადეს, მაგრამ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს.

ახლა იგნატიევმა ჩინურ „შანდურ-ლიუნენთან“ გააფორმა ერთწლიანი ხელშეკრულება და უკვე გაფრინდა ქ. შანდუნში.

## „თუ პრეზიდენტს ფული აქვს, კარგ მწვრთნელსაც მიიწვევს. ესპანურ ფეხბურთში მთავარი ფულია“

**ასე ფიქრობს რუსეთის ნაკრების მცველი ვიქტორ ონოპკო, რომელიც ესპანურ „სელტაში“ თამაშობს.**

როცა მას ჟურნალისტმა ჰკითხა:

● ***მაშ რატომ გაიმარჯვა შარშანდელ ჩემპიონატში „დეპორტივომ“ და ახლაც ერთ-ერთი ლიდერია? ეს ხომ მატერიალურად მაინცდამაინც დალხინებული კლუბი არ არის?***

— თქვენ გეშლებათ — „დეპორტივო“ ძალიან მდიდარი კლუბია. სეზონის დაწყებამდე შეკრებაზე ხავიერ ირურეტამ 50 მოთამაშე გასინჯა. ისინი ხომ სამ გუნდზე მეტს შეადგენდნენ. ამასთან, მხედველობაში მყავს საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები, რომლებსაც სხვა კლუბები სიამოვნებით აიყვანდა იჯარით. და თვით ირურეტაც, ერთ-ერთი საუკეთესო ესპანელი მწვრთნელი, ვიგოდან ლა-კორუნიაში არ გადავიდოდა, მისთვის რომ მეტად მომგებიანი კონტრაქტი არ შეეთავაზებინათ.

● ***რა ხდება „ბარსელონაში“? ფული აქვს, თამაში კი არა, განა ლუიშ ფიგუს წასვლის შემდეგ ყველაფერი აირდაირია?***

— ფიგუს დროსაც, რომელიც მადრიდში უარესად თამაშობს, ვიდრე კატალონიურ კლუბში, „ბარსას“ შეძლო სეზონი ასე, სხვათა შორის დაეწყო. ეს „რეალსაც“ დამართვია, თუმცა ერთსაც და მეორესაც ორი ტოლფასოვანი შემადგენლობა ჰყავს. ამასთან, შინაგანი უთანხმოება მოთამაშეებს საშუალებას არ აძლევს ისე ითამაშონ, როგორც შეუძლიათ. მეჩვენება, რომ ვარსკვლავებს არ შეუძლიათ ერთმანეთში „მშვიდი“ ცხოვრება, ისინი, რომ იტყვიან, ერთმანეთის ჯიბეში იყურებიან. საკმარისი იყო ფიგუს ჩუმად, მორიდებით ეთქვა, რომ მადრიდში გადასვლას აპირებს, რივალდომ მაშინვე დაიწყო ლაპარაკი, ისიც დატოვებს „ბარსელონას“, თუ ხელფასს არ გაუზრდიან. გაუზარდეს და რივალდოც დარჩა: თითოეული ვარსკვლავი ფიქრობს, რომ მან მეტი გასამრჯელო უნდა მიიღოს, ვიდრე მისმა პარტნიორმა. ამის გამოა, რომ გუნდებში კეთილგანწყობილება არ არის, უამისოდ კი ძნელია კოლექტივის შექმნა.

● ***და მაინც, ისეთი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, როგორიც იოჰან კრუიფია, შეძლებდა „ბარსას“ ვარსკვლავების შეკავშირებას?***

— ალბათ, შეძლებდა, მაგრამ „ბარსელონას“ მესვეურებს არ უნდათ ჰოლანდიელის მიწვევა. ჯერჯერობით კი კრუიფი ესპანური პრესის ფურცლებზე აქვეყნებს წერილებს, სადაც თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებზე მსჯელობს.

● ***როგორ აფასებს იგი სიტუაციას? გუშინდელი აუტსაიდერები იმიტომ უტევენ გრანდებსა და საშუალო შეძლების გუნდებს, რომ ისინი სუსტდებიან? თუ ისე ხდება, რომ აუტსაიდერებმა აშკარად უკეთ დაიწყეს თამაში?***

— თუკი „ბარსა“, „რეალი“, „ვალენსია“, „დეპორტივო“ უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ მოთამაშეების შესაძენად, შედარებით ღარიბ კლუბებსაც უხდებათ ფულის გამონახვა, რომ არ „ჩაიძირონ“. დარწმუნებული ვარ — სუსტი გუნდები ესპანეთის ჩემპიონატში აღარ დარჩა. ახლა ნებისმიერს შეუძლია გრანდი დაამარცხოს, თუნდაც მისსავე მინდორზე.

● ***როგორი იყო 2000 წელი რუსეთის ნაკრებისათვის?***

— მსოფლიო პირველობის შესარჩევი ჯგუფის სტარტზე მოპოვებულია ორი გამარჯვება. გარდა ამისა, მწვრთნელებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ გუნდი, რომელმაც ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში პირველი სამი დამარცხების შემდეგ ჩინებულად ითამაშა. მას საბრძოლო სულისკვეთება აქვს, ნებისყოფა, რაც საშუალებას აძლევს უკვე წელიწადნახევრის განმავლობაში ოფიციალურ თამაშები არ წააგოს.

● ***როგორ შეფასებას აძლევთ მოსკოვის „სპარტაკს“ ჩემპიონთა ლიგაში?***

— თუკი სპარტაკელები შეძლებენ თებერვლისათვის სათანადო მზადყოფნის მიღწევას, ისინი შემდეგშიც წარმატებით ითამაშებენ.

# სპორტული პლანეტა

## ნბა: „ლეიკერსს" ო'ნილმა და ბრაიანტმა ვერ უშველა

*ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ პირველობაზე გუშინ ექვსი მატჩი გაიმართა. საყოველთაო ინტერესს იწვევდა ლოს-ანჯელესური დერბი „ლეიკერსსა" და „კლიპერსს" შორის. „კლიპერსი" ამჟამად გზაზე რომაა, ეს ახლაც დადასტურდა. ელვინ ჯენტრის შეგირდებმა მრისხანე მეტოქე საკმაოდ დამაჯარებელი ანგარიშით დაამარცხეს.*

**ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — ლოს-ანჯელეს კლიპერსი 85:118**
ო'ნილი — 33, ბრაიანტი — 27, შოუ — 15, ჰორი — 10; ოდომი — 29, რიჩარდსონი — 16, პარკსი — 13, მაკინისი — 22, პიატკოვსკი — 10.

**ტორონტო-სიეტლი 94:92**
კარტერი — 23, პეტერსონი — 22, უილისი — 16, ოკლი — 12, უილიამსონი — 10; ლუისი — 21, ბეიკერი — 20, პატერსონი — 18, პეიტონი — 13.

**ვანკუვერი — მილუოკი 120:117**
აბდურ-რაჰიმი-38, დიკერსონი — 21, ბიბი — 16, რივზი — 15; რობინსონი — 31, ალენი-28, კასელი — 24, ჰანტერი, უილიამსი — 10-10.

**ნიუ-იორკი — ვაშინგტონი 103:87**
კემბი — 21, ჰიუსტონი — 19, ჯონსონი — 15; ჰოვარდი — 27, ნესბი — 22, უიტნი — 13, ჰამილტონი — 12.

**ფინიქსი — მინესოტა 98:108**
კიდი — 20, დელკი — 17, ცაკალიდისი, გუგლიოტა — 10-10; პილერი — 28, ბრენდონი — 19, შერბიაკი — 13, გარნეტი — 11.

**დენვერი — შარლოტი 94:87**
მაკდაესი — 33, ლაფრენცი, ლენარდი — 2020, სტრიკლენდი — 10; რობინსონი — 18, დევისი — 15; კოულმენი — 14, უესლი 12.



კვენტინ რიჩარდსონი და კორი მაჯეტი („კლიპერსი") „ლეიკერსზე" გამარჯვებას ზეიმობენ

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 24 | 8 | 75,0 |
| ნიუ-იორკი | 22 | 12 | 64,7 |
| მაიამი | 20 | 15 | 57,1 |
| ორლანდო | 14 | 19 | 42,4 |
| ბოსტონი | 12 | 22 | 35,3 |
| ნიუ!ჯერსი | 11 | 22 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 7 | 28 | 20,0 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შარლოტი | 21 | 14 | 60,0 |
| მილუოკი | 18 | 15 | 54,5 |
| კლივლენდი | 16 | 15 | 51,6 |
| ტორონტო | 16 | 17 | 48,5 |
| ინდიანა | 15 | 19 | 44,1 |
| დეტროიტი | 14 | 20 | 41,2 |
| ატლანტა | 12 | 21 | 36,4 |
| ჩიკაგო | 6 | 26 | 18,8 |

### დასავლეთის კონფერენცია

**შუადასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სან-ანტონიო | 21 | 11 | 65,6 |
| დალასი | 22 | 13 | 62,9 |
| იუტა | 21 | 13 | 61,8 |
| მინესოტა | 20 | 15 | 57,1 |
| დენვერი | 19 | 15 | 55,9 |
| ჰიუსტონი | 16 | 17 | 48,5 |
| ვანკუვერი | 10 | 23 | 30,3 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტლენდი | 24 | 10 | 70,6 |
| საკრამენტო | 21 | 9 | 70,0 |
| ლეიკერსი | 23 | 11 | 67,6 |
| ფინიქსი | 20 | 12 | 62,5 |
| სიეტლი | 17 | 18 | 48,6 |
| კლიპერსი | 12 | 23 | 34,3 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 22 | 33,3 |

### ჩოგბურთი

## ენკვისტი და კოსტა „AUSTRALIAN OPEN"-ს გამოაკლდნენ

მომავალ კვირას სტარტს აიღებს „დიდი სლემის" პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მასში ვერ იასპარეზებენ შვედი ტომას ენკვისტი და ესპანელი ალბერტ კოსტა.

## ტესტიუმ პირველი ნაბიჯი გადადგა

ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში სტარტი აიღო ქალთა საერთაშორისო ტურნირმა „Canberra international"-მა 170 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. პირველ ნომრად განთესილი ფრანგი მარი პიერსი და 18 წლის რუსი ელენა დემენტიევა პირველი წრის მატჩებისაგან თავისუფალნი იყვნენ.

ამ დღეს მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია ფრანგმა ტესტიუმ (4), რომელმაც სამ სეტში სძლია გერმანელ იანა კანდარს 3:6, 7:6 (7:3), 6:4.



სანდრინ ტესტიუ

## ჩანგის მარცხიანი სტარტი

სენსაციურად დაიწყო ჩოგანთა საერთაშორისო ტურნირი „Sydney International". ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა — ორ სეტში წააგო ავსტრალიელ ენდრიუ ილიესთან 4:6, 3:6.

## წინ კვლავ ჰინგისია

***გუშინ, გვიან საღამოს, გამოქვეყნდა პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა ახალი რეიტინგ ლისტი. პირველი ათეული ასე გამოიყურება:***

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 6044
2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 5021
3. ვენუს უილიამსი (აშშ) – 3694
4. მონიკა სელეში (აშშ) – 3255
5. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) – 2636
6. სერენა უილიამსი (აშშ) – 2306
7. მარი პირსი (საფრანგეთი) – 2162
8. ანა კურნიკოვა (რუსეთი) – 2098
9. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) – 2030
10. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) – 1918.



### ფიგურული ციგურაობა

## ჩენ ლიუ დაბრუნდა, რათა მოიგოს ამ სეზონის ყველა შეჯიბრება



1995 წლის მსოფლიო ჩემპიონი და ზამთრის ოლიმპიადის (ლილეჰამერი) ბრინჯაოს მედალოსანი, ჩინელი მოციგურავე ჩენ ლიუ აქტიურ სპორტს დაუბრუნდა. მისი სურვილია მოიგოს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი და ყველა მომდევნო შეჯიბრება, იტყობინებიან საინფორმაციო სააგენტოები.

### კრივი

## კასამაიორის წარმატება

1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 28 წლის კუბელმა მოკრივემ ჯოელ კასამაიორმა, რომელიც ამჟამად მაიამიში ცხოვრობს, WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. მან მეცხრე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია ამერიკელ რობერტო გარსიას.



*სურათზე: ჯოელ კასამაიორი*

## სავონი მიდის

გუშინ მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რომ აქტიური სპორტიდან აპირებს წასვლას მსოფლიოს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში, კუბელი მოკრივე ფელიქს სავონი. მას ახლახან შეუსრულდა 33 წელი.

### რალი

## პარიზი – დაკარის პირველი მსხვერპლი

ტრადიციული ავტორალის პარიზი-დაკარის პირველი მსხვერპლი გახდა პორტუგალიელი მძღოლი ხოსე ედუარდუ რიბეირუ, რომელიც ნაღმზე აფეთქდა. მერვე ეტაპზე, როცა ქარავანი მავრიტანიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, პორტუგალიელი კურსს ასცდა და მისი მანქანა მძლავრმა აფეთქებამ ნაფოტებად აქცია. რიბეირუს ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

## სოკ-ი გადაწყვეტს

ზაფხულში მოსკოვში ჩატარდება სოკ-ის სესია, რომელზედაც განიხილავენ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭადრაკის შეტანის საკითხს. ამის შესახებ წინასწარი მოლაპარაკება მიმდინარეობდა ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვსა და სოკ-ის ხელმძღვანელობას შორის და ურთიერთგაგებაც მიღწეულია.

## ხარიკრიშნა — ანანდის მემკვიდრე?

ინდოეთში, გასაგებია, დიდი აღტაცება გამოიწვია ვიშვანათან ანანდის მიერ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებამ. ამასთან, ინდოეთში თვლიან, რომ ამ გამოჩენილ დიდოსტატს სათანადო მემკვიდრეც ეყოლება. ლაპარაკია 14 წლის ვუნდერკინდ ხარიკრიშნაზე, რომლის თამაში სპეციალისტების დიდ ყურადღებას იპყრობს.

16 იანვრიდან ხარიკრიშნა ვეიკ-ან-ზეეს შესარჩევ ტურნირში ითამაშებს, რომლის გამარჯვებული მერმისს ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებს. საინტერესოა, რომ ამ შესარჩევ შეჯიბრებაში ითამაშებს კიდევ ერთი ვუნდერკინდი, 13 წლის ბაქოელი თეიმურ რაჯაბოვი. მათ მხარდამხარ არაერთი ცნობილი დიდოსტატი გამოვა, მათ შორის საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონები ბორის გულკო (აშშ) და მიხაილ გურევიჩი (ბელგია).

# ანზორ ექსეულიძე

საქართველოს სპორტულ სამყაროს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას გამოაკლდა კიდევ ერთი სახელოვანი სპორტსმენი და ღირსეული მოქალაქე, ქართული ხელბურთის ოქროს ხანის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ანზორ (კექსიკა) ექსეულიძე.

60-იანი წლების დასაწყისში, პირველებმა საბჭოთა კავშირში, ხელბურთის თამაში თბილისში გიორგი შარაშიძის ხელმძღვანელობით დაიწყო ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა. გზის გამკვლევთა შორის იყო ანზორ ექსეულიძე, რომელმაც ჯემალ ცერცვაძის რჩევით აიღო ხელში ხელბურთის ბურთი. 1961-75 წლებში ანზორი დიდი წარმატებით თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“, რომელიც ოქროს გუნდად იყო აღიარებული. თანაგუნდელთა შორის, როგორც ყველაზე ტანმაღალი (189 სმ) ხელბურთელი, იგი ხაზის უნიკალურ მოთამაშედ ითვლებოდა, სსრ კავშირის ნაკრებში კი ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო, შედეგიანად თამაშობდა შეტევაშიც. ამ ნაკრებში 14 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი გაიტანა. 1967 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა.



1962 და 1964 წლებში ანზორ ექსეულიძე, თანაგუნდელებთან ერთად, სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, იყო აგრეთვე ქვეყნის ჩემპიონატის არაერთგზის პრიზიორი. პირველ სამ ჩემპიონატში 57-ჯერ წარმატებით დალაშქრა მეტოქის კარი, რაც იმ დროისათვის გასაკვირად მაღალი შედეგი იყო.

დაამთავრა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც მასთან ერთად თამაშობდნენ გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია, ბორის კოპალეიშვილი... ანზორი, გარდა ხელბურთისა, გატაცებული იყო ხელოვნებით — შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა კიდეც, უყვარდა წიგნების კითხვა. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ რამდენიმე წელიწადი მწვრთნელად იმუშავა, თუმცა კავშირი არც შემდეგ გაუწყვეტია ხელბურთის მშობლიურ სამყაროსთან, დანატრებული იყო ქართული ხელბურთის საამაყო ტრადიციების აღდგენას.

ამქვეყნიდან წავიდა პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ სპორტში, როგორც მისმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა და ცხოვრებაში, როგორც მრავალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეულმა პიროვნებამ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია.



საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 61 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ვეტერანი ხელბურთელი, სპორტის საპატიო ოსტატი, თბილისის „ბურევესტნიკის“ და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი წევრი

ანზორ ექსეულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება დღეს, 9 იანვარს, 12 საათზე ბინიდან (წერეთლის გამზირი IV კორპ. IV სად. „თელასის“ პირდაპირ). გამოსათხოვარი პანაშვიდი დღესვე, 13 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიაში. დაკრძალვა საბურთალოს პანთეონში 14 საათზე.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ვეტერანი ხელბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანაგუნდელი, სახელოვანი სპორტსმენი

ანზორ ექსეულიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის 1964 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი

ჯემალ სიხარულიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი ხელბურთელი

ანზორ ექსეულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის, აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაგრძნობას უცხადებენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ევროპის ჩემპიონს სამბოში ამირან მუზაევს ძმის

გურამ მუზაევის

გარდაცვალების გამო.

გერა აბრამიშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ოჯახს

ანზორ ექსეულიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება სპორტული კომპლექსი „ლაგუნა-ვერე“, სპორტის წყალთა სახეობების სხვადასხვა თაობების წარმომადგენლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკი, „შევარდენის“ ცურვის სპორტული სკოლის დირექტორი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ლენა ბასანოვა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს ამავე დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს კახი ასათიანს ძმის შვილიშვილის

ალექსანდრე სამანიშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის სპორტის, აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს კახი ასათიანს ძმის შვილიშვილის

ალექსანდრე სამანიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი და მწვრთნელი ჩოგბურთში

გიორგი ეგნატაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## რუსეთი — «დანარჩენი მსოფლიო»

მას შემდეგ, რაც რუსეთის მოჭადრაკეთა ნაკრებმა კვლავ გაიმარჯვა სტამბოლის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია კვლავ აპირებს დასვას საკითხი ახლო წარსულში ერთი ფრიად პოპულარული შეჯიბრების აღდგენის შესახებ.

ეს არის მატჩი რუსეთისა და ე.წ. „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებებს შორის.

## რომანიშინმა იტალიის ტურნირი მოიგო

უკრაინელმა დიდოსტატმა ოლეგ რომანიშინმა მოიგო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ტრადიციულად იმართება რეჯო ემილიაში. მან 9 პარტიიდან 6 მოიგო და სამი ყაიმით დაასრულა. ქულით ნაკლები დააგროვა იგორ ეფიმოვმა, რომელიც იტალიის სახელით გამოდიოდა.

## ტიმანის უპირატესობით

ცნობილმა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა მოიგო პაულ კერესის ხსოვნისადმი მიძღვნილი XI საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში, რომელიც ტალინში გაიმართა.

**ტექნიკური შედეგები:** 1. იან ტიმანი (ჰოლანდია) — 5,5 ქულა, 2. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) — 4,5, 3-5. ალექსანდრ ჰალიფმანი (რუსეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი), ვიქტორ გავრიკოვი (ლიტვა) — 3,5-3,5.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**9 იანვარი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის ჩემპიონატი (13.15), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15), საფეხბურთო არდადეგების დროს. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი: ჰოლანდია — იუგოსლავია (19.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.00), საფეხბურთო არდადეგების დროს. ევროპის ჩემპიონატი: ესპანეთი — საფრანგეთი (22.10). ჰოლანდიის ჩემპიონატი (23.55). ***ESPN.*** კალათბურთი. აღმოსავლეთ ასოციაციის პირველობა (7.00, 9.00, 23.30, 2.30), აზიის ფეხბურთი (12.00), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი (11.30, 1.30, 3.45), ფეხბურთი (19.00).

**10 იანვარი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.30, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.55), ჰოლანდიის ჩემპიონატი (15.45, 0.00), ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი (17.55, 20.25), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.20), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (23.30), ***НТВ плюс спорт.*** ბილიარდის მეფეები (12.35), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (8.00, 12.00, 15.30, 23.30, 2.00), აზიის ფეხბურთი (11.00), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი (11.30, 1.30, 3.45), მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ლიგა (15.00), ფეხბურთი (13.00, 23.15).

**11 იანვარი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. II არხი.* რაგბის მოყვარულთათვის (21.00), ***რუსთავი-2.*** ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), ჰოლანდიის ჩემპიონატი (17.35). საფეხბურთო არდადეგების დროს. ევროპის ჩემპიონატი, ნახევარფინალი: საფრანგეთი — პორტუგალია (20.10), იტალია — ჰოლანდია (23.15). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (20.45). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (9.00, 15.30, 2.30), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი (11.30, 1.30, 3.45), ფეხბურთი (13.00, 23.30).

## კროსვორდი № 2



**თარაზულად:** 9. სომხეთის საფეხბურთო კლუბი, 10. ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 11. თურქეთის კლუბი, 14. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 15. შავიზღვისპირეთის კურორტი, სადაც გუნდები წინასასეზონო შეკრებებს გადიან, 19. საჩოგბურთო სტადიონი, 20. საწყლოსნო სპორტის ატრიბუტი, 23. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის აბრევიატურა, 27. მძლეოსნობის სახეობა, 28. წარსულში სტუდენტური სპორტული კლუბი.

**შვეულად:** 1. ბავშვთა საფეხბურთო კლუბი თბილისში, 2. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 3. გურჯაანის საფეხბურთო კლუბი, 4. ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 5. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ჭიდაობის საერთაშორისო ორგანიზაცია, 7. აზიის მეკლდეურობის ერთ-ერთი ცენტრი, 8. ლიბერიელი ფეხბურთელი, 12. ნბა-ს კლუბი, 13. ქართული ხალხური თამაში, 16. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 17. ამპლუა სპორტულ თამაშებში, 18. ცნობილი ბერძენი ძალოსანი, 21. „ფორმულა-1“-ის გუნდი, 22. წარსულში აფხაზი მძლეოსანი ქალი, 24. რუსთაველი კალათბურთელი, 25. საწყლოსნო სპორტის ატრიბუტი, 26. ახლო წარსულში აბაშის საფეხბურთო კლუბი.

### №1 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. „მეტეორი“, 6. ფორმენი, 9. ლახტი, 10. ასანიძე, 11. ათენი, 16. კანადა, 17. ბლიაძე, 20. „ქსანტი“, 21. ინძაგი, 24. ბრემე, 26. მუსტერი, 27. „აზოტი“, 28. „ვიჩენცა“, 29. ოლბერგი.

**შვეულად:** 1. ეტლი, 2. ბრასი, 3. ზოიძე, 4. სენა, 7. ფალკაო, 8. ანთაძე, 12. „სკავოლინი“, 13. ნებიერიძე, 14. ლარსენი, 15. მინდაძე, 18. „ოსკარი“, 19. აგენტი, 22. შულცი, 23. კროლი, 25. „ელჩე“, 27. აფრა.

## საჭადრაკო ამოცანა

დ. კანონიკი



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლf1! მუქარა 2. ეc3X.
1. ...მf2 2. ლc1X. 1. ...მf4 2. ლg1X.
1. ...კ:e4 2. მc4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

# ენა, მამული, სარწმუნოება

„... ღმერთო სამშობლო მიუტევნელ, მკინარეთ ამას ვდუღუნებ!"
ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაინდთა საავტორო სკოლის გაზეთი
2001 წ. №1

+

2000 წლის წინ ვიფლეემის მღვიმეში [illegible] დაიბადა: იესო [illegible] ჩვენი [illegible] ქრისტე. ღმერთი მთელი მსოფლიოს გამომხსნელი. დღეს ამ მარადიულ [illegible] – მესამე ათასწლეულის [illegible].

ვულოცავ ყოველ ქრისტიანს 2000 წლისთავს სრულიად საქართველოსათვის, ამინ!

+ ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი

## ხალხური სიმღერის მადლი პატარა რაინდებში

საქართველო მისი მიწით იწყება. უამრავი რამ თქმულა და დაწერილა მის შესახებ. სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს უცხოეთში თან მიჰქონდათ ქართული მიწა — მათთვის ყველაზე ძვირფასი რამ. უზარმაზარი ინფორმაციის შემცველი, რომელიც კარნახობდა ქართველ კაცს რა მოეყვანა, როგორ მოევლო, როგორ ეშენებინა, როგორ გაფრთხილებოდა.. როგორ ეგრძნო და ამ გრძნობისთვის როგორ ეთქვა და როგორ ემღერა... და იღვრებოდა ქართული მიწიდან მოდინარი, ქართველი კაცის ბაგით ქართული სიბრძნე — ერთ დროს საამაყო, ამჟამად

იხ. მე-2 გვ.


ქ. თბილისი
დიპლომი

## რაინდთა სკოლა – ახალი თაობა, ახალი საზოგადოება

ეპოქა და თვით ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება დაჟინებით მოითხოვდა გმირს, მებრძოლ პიროვნებას, საგმირო საქმეს. ჯერ კიდევ ადრეულ საქართველოში, ჩვენდა საამაყოდ, არსებობდა „კაი ყმის" ინსტიტუტი, რომლის პირველი ღირსება ვაჟკაცობა იყო. მათ გააჩნდათ საკუთარი მორალური კანონები, რის მიხედვითაც ისინი მოქმედებდნენ. ეს ვაჟკაცები იმ დედის გაზრდილნი იყვნენ, რომლებიც შვილებს ვეფხვებთან საომრად ამზადებდნენ, რომელთათვისაც სამშობლო უპირველესთაგანი იყო, ძილშიც კი, ღმერთს სამშობლოს კეთილდღეობას ავედრებდნენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. რაინდობა და „კაი ყმობაც" წარსულს ჩაბარდა. სწორედ ამ არაჯანსაღ გარემოში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თავის თავზე აიღო „კაი ყმობის" ტრადიციის განახლება, რაც „რაინდთა საავტორო სკოლის" ჩამოყალიბების საქმეში გაცხადდა.

„ყველაფერი იმით დაიწყო, რომ — ამბობს ბატონი მურთაზი, — ნარკომანიის და ტოქსიკომანიის სამთავრობო კომისიაში უშუალოდ შევეჯახე ამ პრობლემას და ამის შემდეგ სულ ვფიქრობდი, რომ შემექმნა სასწავლებელი, სადაც ბავშვები სხვაგვარად აღიზრდებოდნენ. იქნებოდნენ ჯანმრთელები, ურთიერთმოყვარულები, ქრისტიანები, ქართული ტრადიციების მიმდევრები. სასწავლებლის ადგილი ისეთი უნდა ყოფილიყო, სადაც იქნებოდა ქართული სული. ჩემი სახლი პირდაპირ გაჰყურებს ეთნოგრაფიულ მუზეუმს და იდეაც და სკოლის შემდგომი სახეც, უეცრად გაჩნდა. მუზეუმში გახსნილი სკოლა უნდა გამხდარიყო ადგილი, სადაც ბავშვები შეძლებდნენ უშუალოდ დაკავშირებოდნენ ქართულ ყოფას და გარემოს. 1995 წლის 18 აპრილს გაიხსნა „რაინდთა საავტორო სკოლა" და 6 თვეში გახდა იუნესკოს ასოცირებული წევრი.

1999 წელს 30 ნოემბერ-დეკემბერს ჩატარდა სპეციალური ხელოვნების კონკურსი — „ოლიმპიზმი, სპორტი და მშვიდობა" იუნესკოს ასოცირებული სკოლების პროექტის ქსელის ფარგლებში.

27 ოქტომბერს საერთაშორისო ჟიურიმ შეარჩია ხუთი გამარჯვებული ნახატი (თითო რეგიონიდან ერთი). მათ შორის ევროპიდან პირველ

იხ. მე-2 გვ.

## „...ერთ არს მოძღვარი თქვენი ქრისტე..."

*„განცილებით ადვილია ეკლესიის აგება და ეკონომიკის აღდგენა, ვიდრე სულის დარღვეული ტაძრის აშენება. ჩვენი მიზანია ადამიანი უფალთან მივიყვანოთ, დავუბრუნოთ მას რწმენა არა ზოგადად ღვთისა და აქედან გამომდინარე საერთოდ რელიგიისა, არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომლითაც ცხოვრობდნენ და ცხონების ღირსნი ხდებოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები".*

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე*

ღვთის შეწევნით დღეს ჩვენს საზოგადოებას უკვე აქვს საშუალება მომავალ თაობებს ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ მისცეს ცოდნა და პიროვნება ღვთისა და მოყვასის წინაშე მოვალეობის შეგნებით, ღვთის იმედითა და სიყვარულით აღზარდოს. ჩვენი სკოლა ცდილობს ბავშვებს ღვთისკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯები გადაადგმევინოს. საძირკველშივე ჩაუყაროს მათი ქრისტიანებად ჩამოყალიბებას საფუძველი. პატარებში თავმდაბლობის, მიტევების, თანაგრძნობის, სხვისი ჭირისა და სიხარულის გაზიარების უნარის განვითარება, რომელიც ყველა ბავშვში უხვა-

იხ. მე-2 გვ.

## რაინდთა საავტორო სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს კულტურისა და სპორტის ინტეგრირება

## გაგონილს ნანახი სჯობს!..

მრავალჯერ დავრწმუნებულვარ, რომ დღევანდელ უბედურებებს, როგორიცაა აგრესია, ძალადობა, ნარკომანია, ტოქსიკომანია, ლოთობა, სქესობრივი უკუღმართობები, კაცთკვლა და მრავალი სხვა, რომლებსაც შედარებით მძაფრი სახელები და გამოვლინებები აქვთ, მხოლოდ პოლიციური მეთოდებით ბრძოლის იმედათ რომ ვიყოთ, ალბათ, თავის მოტყუება იქნება. რაც შეეხება საზოგადოებას, მის უმეტეს ნაწილს, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ სძინავს... სძინავს, რადგან ზოგი სოციალური პრობლემებითაა გაწამებული, ხოლო ნაწილი კი დამშვიდებულია, რადგან ჰგონია, რომ ეს უბედურებები მათ ოჯახებს არ ეხებათ, არადა, ეს ხომ ის ბაცილაა, რომელსაც ყველგან შეუძლია შეღწევა. ეს არის მწარე სიმართლე, და ისიც, რომ თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, შვილს თუ არა, შვილიშვილს, შვილთაშვილს შეეყრება და უკვე საფრთხე მთელ ქვეყანას დაემუქრება.

არის კი რაიმე საშუალება, რომ ამ ყველა უბედურებას ვუმკურნალოთ და საერთოდ თავიდან ავიცილოთ? არის, მაგრამ იგი როგორც წამლად, შხამადაც გამოდგება.

მასწავლებელი, აღმზრდელი, გამზრდელი თურმე ამ დედამიწის ზურგზე ყველაზე ძნელი საქმე ყოფილა. რადგან ყოველი ბავშვი ცალკე პიროვნებაა — ბუნებრივია, არის ცალკე ხასიათი, ინტერესი, სურვილი. ესე იგი, საჭიროებს თითოეული პიროვნება საკმაოდ საფუძვლიან შესწავლას და შესაბამისად აღზრდის ინდივიდუალურ მიდგომას. ყველაზე მთავარი, მიზნის მისაღწევად, მოსწავლეების გულწრფელი და ღრმა სიყვარულია აუცილებელი, განსაკუთრებით კი მათ მიმართაა ძნელი სიყვარულისა და პატივისცემის გამოჩენა. რომელ ბავშვსაც ყველაზე მეტი უსიამოვნების მინიჭება შეუძლია მასწავლებლისათვის. რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს მასწავლებელი თავისი ბოროტი, უხამსი და უხეირო საქციელით, მაგრამ მასწავლებელმა უნდა შეძლოს ეს ყველაფერი ძირს დაწიოს-დალეწოს და მასზე მაღლა დადგეს. რა თქმა უნდა, მე გათვითცნობიერებული მაქვს რომ ამ ყოველივეს თქმა ადვილია, ქმნა კი მეტისმეტად ძნელი, მაგრამ საკუთარი თავის წვრთნით მასწავლებელი შედეგს მიაღწევს ჯერ თავის თავთან, შემდეგ კი აღსაზრდელთან. მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად იზრდება და თუ ეს არ მოხდა, მასწავლებელი და მოსწავლე თუ სულიერად დაშორდნენ ერთმანეთს, მერე ძალზე ძნელია ურთიერთობების აღდგენა.

ზემოთ რაც მოგახსენეთ ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი. საინტერესოა, რა შეიძლება დავუპირისპიროთ ყოველივე ამას, ამჯერად თქვენი ნებართვით განათლების საკითხების ახალი ხედვის ჭრილში შევეცდები წარმოვიდგინოთ გახანგრძლივებული დღის რეჟიმის რაინდთა საავტორო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების სინთეზი, სადაც სწავლა იწყება 4 წლის ასაკიდან. სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების გაერთიანებამ მოგვცა ის სიკეთე, რომ ბავშვები პირველ კლასში ადაპტირებულნი არიან სასკოლო გარემოს, მასწავლებელთან საგნებისა და დარგების მიხედვით, უყალიბდება ურთიერთობები უფროსკლასელებთან, მათთან ერთად არიან ზაფხულისა და ზამთრის ბანაკებში, სადაც შესანიშნავად სწავლობენ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევებს. ერთად ზეიმობენ, ერთად დადიან წმინდა გზებზე და რაც ყველაზე მთავარია, უფროსკლასელებისგან სწავლობენ ქცევის წესებს, ურთიერთობას და გრძნობენ მზრუნველობას.

სკოლამდელ დაწესებულებაში თითქმის მთელი პროცესი მიმდინარეობს თამაშის ფონზე და უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენდა გასახარად, სწორედ თამაშის ფონზე შესანიშნავად

იხ. მე-3 გვ.




ბეისბოლის ნაკრები გუნდი, რომელიც თანატოლთა შორის 2001 წლის ევროპის პირველობისთვის ემზადება


სკოლის წრის ფეხბურთელთა გუნდი


რაინდთა გაკვეთება ასე იწყება

მისამართი: ნუცუბიძის V პლატო
საკონტაქტო ტელეფონები:
26-10-70, 22-55-81

რედაქტორი ეკა ჯაფარიძე
რედკოლეგიის წევრები: ირმა კვანჭიანი, ირინა კვანჭიანი, ნინო აფაქიძე, მაია გელაშვილი

# რაინდთა სკოლა – ახალი თაობა, ახალი საზოგადოება

1–ლი გვერდიდან

ადგილზე გავიდა საქართველო. ჩვენდა საამაყოდ ნახატი ეკუთვნოდა ჩვენი სკოლის V კლასის მოსწავლეს — ირაკლი კეშელავას.

ჩვენი სკოლის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 2000 წლის 7 ივნისს ჩატარებული, ქ-ნი ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. ამ ლამაზ დღეს ქ-ნ ანას მასპინძლობდნენ II კლასის მოსწავლეები.

„რაინდთა საავტორო სკოლაში" თავიდან 15 ბავშვი სწავლობდა. დღესდღეობით კი მათი რიცხვი 240-მდე აღწევს. ყველაზე მაღალი VI კლასია. რაინდთა სკოლაში სწავლის მრავალრიცხოვან მსურველებში უპირატესობა ხელმოკლე ოჯახის შვილებს, ლტოლვილებს და მრავალშვილიანებს ენიჭებათ. საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტაში თავისი პატარა წვლილის შეტანას სკოლა იმით აპირებს, რომ ბავშვს უპირატესად მრავალშვილიანი ოჯახებიდან მიიღებს.

სკოლაზე მოთხოვნის გაზრდის ძირითადი საფუძველი სწავლების ახალი ხედვაა, მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობით არის გაჯერებული.

„რაინდთა სკოლის" იდეა ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ აღმსარებლობაზე, სიყვარულზე, ერთგულებაზე, სიმართლეზე, შრომისადმი სწრაფვაზე და ზოგადსაკაცობრიო პრინციპზეა დაფუძნებული. სწორედ ასეთ წიაღში აღიზრდება სულიერად ჯანმრთელი, ჯანსაღად მოაზროვნე თაობა, რომელმაც მარათონი ახალ საუკუნეში უნდა გააგრძელოს.

პატარა რაინდებს ჰყავთ თავიანთი მოძღვარი — ბოდბის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი. მასთან ერთად ბავშვები ხშირად დადიან წმინდა გზებზე, სწავლობენ საღვთო სჯულს და იღებენ ზიარებას. რაინდებმა ფეხით მოიარეს წმინდა ადგილები: ახმეტა-ალვანი-ალავერდი და ურბნისი-გორის მარშრუტები, აგრეთვე, წმინდა ნინოს მიერ განვლილი გზის მონაკვეთი.

„რაინდთა სკოლაში" ძირითადი საგნების გარდა სწავლობენ საგალობელს, ფოლკლორს, ქართულ ცეკვას, ჭიდაობას. ეს ის მძლავრი ფესვებია, რომელზეც უნდა იხაროს ქართულმა სულმა და გენმა. ფიზიკური წვრთნის გარეშე რაინდი ნამდვილ რაინდად ვერ ჩამოყალიბდება. სკოლის ერთ-ერთი მიზანიც ეს გახლავთ. ბავშვები დიდი სიხარულით სწავლობენ ბეისბოლს, ფარიკაობას, ფეხბურთს, ჭადრაკს. სწავლობენ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ჩინურ ენებს. მომავალში მათ ხომ თამამად უნდა შედგან ფეხი მსოფლიო სამყაროში.

რაინდთა სკოლას აქვს ზამთრის და ზაფხულის ბანაკები ყაზბეგის და თეთრი წყაროს რაიონში. ბანაკი ხომ საერთო სასწავლო პროგრამის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. დამოუკიდებელი ცხოვრების ამ გზაზე, ბავშვების საგზალი მასწავლებლების დაუშურველი შრომა და ის დიდი სიყვარულია, რომელიც თითოეულ ბავშვზე უანგაროდ ნაწილდება. ბანაკებში ისინი სასწავლო პროგრამის გარდა, დამატებით სწავლობენ კლდეზე ცოცვას, წინააღმდეგობის დაძლევა ხომ ადამიანში მთელი თავისი სიკეთით პიროვნებას აყალიბებს. „ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში და ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, — ამბობს ბატონი მურთაზი, — რომ ჩვენმა ბავშვებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ როგორ მოიქცნენ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორ გადაირჩინონ თავი და სხვებსაც დაეხმარონ. ზამთარში სწავლობენ თოვლიან მასივებში გადაადგილებას, წინააღმდეგობის დაძლევას, ფეხით დიდი მანძილის გადალახვას. კარავი და საძილე ტომარა ხომ ჩვეულებრივი ამბავია მათთვის".

სწორედ ბანაკებში უყალიბდებათ მოზარდებს ჭეშმარიტი ურთიერთობები. ყოველი ბანაკის დახურვა აღინიშნება ზეიმით, სადაც ხდება მოსწავლეთა ინტელექტუალური ძალების გამოცდა.

„ვფიცავ, პირველად არასოდეს დავარტყამ" — ეს „რაინდთა სკოლის" აღსაზრდელების ერთ-ერთი ძირითადი დევიზი გახლავთ. აქციით — „მშვიდობით, იარაღო" ბავშვებმა უყოყმანოდ ჩაყარეს ყუთში სათამაშო იარაღები. ამ ყუთში კი პირველი თავად ბატონი მურთაზის იარაღი ჩავარდა — „ხშირ-ხშირი საუბრით და შეგონებით შევძლებ ჩავუნერგო მათ იარაღისადმი სწორი დამოკიდებულება" — აღნიშნავს ბატონი მურთაზი. საჭიროების შემთხვევაში კი მათ პირველებს ეცოდინებათ იარაღის ხმარება.

ეხლა კი მოყვასის სიყვარული ბავშვების უპირველესი მოვალეობაა, რომ ყველგან სიკეთის და სიყვარულის კვალი დატოვონ.

**P.S. „რაინდთა საავტორო სკოლა" შესულია იუნესკოს საიუბილეო წიგნში.**

**1996 წელს იუნესკოს წარმომადგენლები გაეცნენ „რაინდთა სკოლის" მუშაობას და იმდენად საინტერესოდ და ეფექტურად ჩათვალეს აღზრდის ასეთი მეთოდი, რომ კონფერენციის დადგენილებაში ჩაწერეს: „იუნესკო ხელს შეუწყობს საქართველოს რაინდთა საავტორო სკოლის გამოცდილების გავრცელებას და განზოგადებას".**

ეკა ჯაფარიძე
*რაინდთა საავტორო სკოლის დირექტორის მოადგილე.*


United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

This is to certify that

SCHOOL OF "KNIGHTS"
(name of school)

TBILISI (name of town) GEORGIA (name of country)

is a participating institution
in the Unesco Associated Schools Project in Education
for International Co-operation and Peace

Date 26 October 1995

Federico Mayor
Director-General, Unesco




# ხალხური სიმღერის მადლი პატარა რაინდებში

1–ლი გვერდიდან

კი ასე გასაფრთხილებელი ჩვენთვის — ხალხური შემოქმედება.

სიმღერა ქართველი კაცის გაცხადებული სულია. ქართველი მღეროდა როცა უყვარდა, როცა შრომობდა და როცა იბრძოდა, როცა უჭირდა... საქართველოში თითქმის ყველა მღერისო — უკვირდა აქ მოსულ უცხოელს. ქართველსაც ეამაყებოდა, რადგან „კაცი, რომელიც მღერის, მისგან სიკეთეს უნდა ველოდეთ" (ი. ჭავჭავაძე). ასე სჯეროდა, ასე სწამდა ქართველსაც და თაობიდან თაობას გადასცემდა ამ სიკეთეს.

ამ „სიკეთის" უდიდესი ღირსება კი სიყვარულია გვერდში მდგომისა, რომელთან ერთადაც ამ სამყაროს სრულად და უფრო მდიდრულად შეიმეცნებ. ეს ქართული სიმღერის მრავალხმიანობაა, ერთ ჰარმონიაში გამთლიანებული. ეს თვისება ქართველს ხასიათშიც გადასდის. ქართული ანდაზა ხომ ამას გვამცნობს: „თუ გვერდში მდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ იმღერებო".

როცა პატარების მიერ შესრულებულ ხალხურ სიმღერას ისმენ, პირველი სიტყვები, რომელიც გულში ჩნდება, რითაც გინდა რომ მათ მოეფერო ეს — პატარა ქართველებია. სიმღერა ეროვნულობასთან გაიგივებულია. სიმღერა მათ ურთიერთშეგრძნების, ურთიერთმოსმენის, გაგებისა და სიყვარულის გრძნობას უღვივებს, და ბედნიერია ქართველი ერი, რომ ყველაფერი ამის ბავშვებში, ურთიერთში ჩანერგვის ასეთი კარგი საშუალება აქვს. მუსიკაც ხომ აზროვნებაა და როცა ბავშვი ხალხურ სიმღერებს მღერის, ის ეროვნულ აზროვნებას მუსიკის საშუალებით ისხლხორცებს.

ხალხური სიმღერის სწავლება და ქართულ მიწასთან (მის ტრადიციებთან) კავშირი არის იმ „სიკეთესთან" ზიარება, რაზეც ქვემოთ გვქონდა საუბარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაინდთა საავტორო სკოლა ამ სიკეთეს უხვად გადასცემს ბავშვებს. სწავლების პროცესზე არანაკლები მნიშვნელობა ბანაკებს ენიჭება. სხვადასხვა ადგილებში ბავშვები უკეთესად ეცნობიან ამ მხარეს, მათ ბუნებას. აქ ყველაფერი სხვა სიძლიერით ჟღერს. აქ ნასწავლს სხვა ძალა და სიყვარული აქვს... ხევის სალოცავებზე ასულები იქაურ სიდიადეს სიმღერით ეხმიანებიან. გრძელ გზას სიმღერით იმოკლებენ, მათი მეგობრობაც სიმღერაში მეტად იგრძნობა.

რაინდთა სკოლაში ამ საქმისადმი სხვა სიყვარულით (შესაძლებლობითაც) გულანთებული ბავშვები ერთად აღმოჩნდნენ. შეიკრა პატარა გუნდი, რომელიც გულებს უთბობდა თანატოლებსა და დიდებს ყოველთვის, როცა კი ემღერებოდათ.

სულ ცოტა ხნის წინ თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური კონკურსი სახელწოდებით „ჯადოსნური ხმები". სცენაზე პატარა რაინდები გამოჩნდნენ. სულ ექვსნი, მათ შორის ერთი გოგო. ერთ მთლიანობად შეკრულები, ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ ცოტა აღელვებულები, ცოტა გაუბედავები... მაგრამ ერთმანეთს გრძნობდნენ, ერთმანეთს ძალას მატებდნენ... ჯერ გაუბედავად აჟღერდა ერთი ბავშვის „ოცდა ხუთსა დეკემბერსა"... დიდხანს არ დატოვეს მარტო ეს ხმა დანარჩენებმა, შეუერთდა სიმღერას ბანიც, თითქოს ითქვა: ნუ გეშინია, ჩვენ ხომ აქა ვართ. და ლამაზად აჟღერდა „ალილო" ზუსტად ოცდახუთ დეკემბერს. გულში ჩაიღვარა სითბო და მოფერება „პატარა ქართველები".

მ. გელაშვილი
*ფოლკლორის მასწავლებელი*

# „...ერთ არს მოძღვარი თქვენი ქრისტე..."

1–ლი გვერდიდან

დაა, სწორედ სარწმუნოების შესწავლით შეიძლება მოხდეს.

ჩვენი სკოლის ბავშვები ქართული კულტურის მემკვიდრენი არიან, მისი მიმღებნი, ამთვისებელნი და შემდგომში განმავითარებელნი. დღეს ევროპის დიდი და უაღრესად დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი უნიკალურ კანონებს ქმნიან კულტურის სხვადასხვა სფეროში, რათა თავი დაიცვან ინტერნაციონალური კულტურის ექსპანსიისაგან და საკუთარი, ინდივიდუალური სახე არ დაკარგონ და ჩვენც — მცირერიცხოვან ერს გვმართებს ამაზე ზრუნვა. ქართული კულტურა — ქრისტიანული კულტურაა და ამ კულტურის მცოდნე, მისი მოყვარული, დამფასებელი და პატივისმცემელი თაობების აღზრდა განსაკუთრებით საშურია და ის სწორედ ამ კულტურის მასაზრდოებელი სარწმუნოების — მართლმადიდებლობის შესწავლით უნდა დავიწყოთ.

სკოლაში ბავშვი განათლების მისაღებად მიდის. ჭეშმარიტი განათლება კი უპირველესად ზნეობრივ პრინციპთა დაუფლებას, რეალურად ამ პრინციპით ცხოვრებას გულისხმობს და არა სხვადასხვა დისციპლინებში თუნდაც ღრმა და საფუძვლიან განსწავლულობას. ჩამოყალიბება უნდა იყოს, ყველაფერი დანარჩენი კი — მეცნიერებაც, ხელოვნებაც, სპორტიც, ამ მიზნის განხორციელებას ეხმარება და აადვილებს.

სკოლის ფუნქციაა ბავშვთა აღზრდა ნამდვილ მამულიშვილებად, მომავალში ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონებად, როცა ქვეყნის ტკივილი მათი პირადი ტკივილიც იქნება და ქვეყნისათვის ზრუნვა და შრომა — უშუალოდ მათი საკეთებელი საქმე. ღვთისა და მოყვასის წინაშე მოვალეობის უქონელი კაცი ვერც ოფლს დაღვრის და ვერც სისხლს. რწმენით და სიყვარულით ადამიანის აღზრდა კი შეუძლებელია ეკლესიის მადლის გარეშე. ჩვენ უნდა ვეცადოთ ეკლესიასთან მჭიდრო სიახლოვით აღვზარდოთ ჩვენი ბავშვები, რათა ეს მადლი იყოს მათი კეთილად აღზრდის საწინდარი, საფუძველი იმისა, რომ ისინი მომავალშიც უკვე დამოუკიდებელი და ჩამოყალიბებული პიროვნებები აღარ დარჩებიან ჩვენი დედა ეკლესიის მაცხონებელი მადლის გარეშე.


სკოლის მსვლელობა წმიდა გზებზე

ჩვენ, სკოლის პედაგოგებს, უპირველესად ღვთისადმი მადლიერება გვმართებს, იმისათვის, რომ დღეს სკოლაში ბავშვთა ქრისტიანულად აღზრდას ვემსახურებით. ეს უდიდეს პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, მაგრამ არ გვტოვებს იმედი, რომ ღმერთი შეიწირავს ჩვენს სურვილს, გულმოდგინებას და შრომას, შეგვაძლებინებს ჩვენც ვისწავლოთ და ბავშვებსაც ვასწავლოთ იმ უპირველესი მასწავლებლისაგან, რომელზეც მათი მოციქული მიგვითითებს: „...ერთ არს მოძღვარი თქვენი, ქრისტე..." და ჩვენი შრომის შედეგები ბავშვთა ცხოვრებას უსათუოდ დაეტყობა, მათ აზრებში, სურვილებსა და საქციელში გაცხადდება. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენმა შრომამ ღვთისათვის სათნო ნაყოფი გამოიღოს.

ნინო აფაქიძე
*რელიგიის ისტორიის მასწავლებელი*

# სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია

## ნაწყვეტი საკონფერენციო თემიდან

იუნესკოს ასოცირებული სკოლების მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენციას „კულტურათა დიალოგი გრძელდება..." 23/24 ნოემბერს მასპინძლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთავის ქართული გიმნაზია. კონფერენციის ჩატარების მიზანი: იუნესკოს ასოცირებული სკოლების დაახლოება, საქართველოსა და მსოფლიო ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების შესწავლა იყო. კონფერენციაზე ექვსი სექცია მუშაობდა. სექციებზე წარდგენილმა თემებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

რაინდთა საავტორო სკოლიდან კონფერენციაზე წარგზავნილი მე ვიყავი. მონაწილეობა მივიღე ისტორიის სექციაში, სადაც წარვადგინე თემა: „ტრადიციები საქართველოს მთიანეთში".

თემა ეხებოდა დიდებულ ქართულ ტრადიციებს: შრომისმოყვარეობას, ჭირსა და ლხინში თანაგრძნობას, ქალისადმი მოკრძალებასა და პატივისცემას, სამშობლოს სიყვარულის, ერთგულებასა და თავდადებას, სტუმართმოყვარეობისა და გამასპინძლების საოცარ წესს...

დღევანდელ წერილში ვისაუბრებ მხოლოდ მთიელი ქართველების განსაკუთრებულ სტუმარ-მასპინძლობაზე, რომელიც ორ ფაქტორზე — პრაქტიკულზე და რელიგიურზე იყო დამოკიდებული. პრაქტიკულ ფაქტორს განსაზღვრავდა გამონათქვამი — „რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკი", — ხოლო რელიგიური ფაქტორის უძლიერესი არგუმენტი იყო „ — სტუმარი ღვთისაა..." ქართველი მთიელები დარწმუნებული იყვნენ, რომ გარდა სახელისა, სტუმართმოყვარეობა ეკონომიურადაც სასარგებლო იყო. „ჰაი, ჰაი, კარგია სტუმარი და ბარაქას აძლევს მასპინძელსაო" — ამბობდა ხევსური...

ხევსურეთში მგზავრს თუ რომელიმე სოფელთან შემოაღამდებოდა, „საფეხნოსთან" მიდიოდა, სადაც მამაკაცების თავყრილობის ადგილი იყო.

დამხვდურნი ფეხზე წამოდგომით მიესალმებოდნენ მოსულს. მისალმების შემდეგ, როდესაც შეამჩნევდნენ რომ მგზავრს მასპინძელი არ ჰყავდა, ცხენს ჩამოართმევდნენ და ბავშვს გაატანდნენ რომელიმე ოჯახში. რამდენიმე ხანი სტუმარი „ფეხონს" ესაუბრებოდა. გამოკითხავდნენ სადაურობას და როდესაც სახლებში წასვლის დრო მოაწევდა, ყველა ცდილობდა თავისთან წაეყვანათ სტუმარი. შინ მიყვანილ სტუმარს, მასპინძელი გამოეგებებოდა, მისალმების შემდეგ ეტყოდნენ მისი ცხენი სად იყო დაბმული, სახლში შეიპატიჟებდნენ და ოჯახს უფროსი მამაკაცი საუბრით იქცევდა, სანამ დიასახლისი სა-

იხ. მე–3 გვ.

# სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია

მე–2 გვერდიდან

კადრის ვახშამს დაამზადებდა.

თუ სტუმარმა წესი იცოდა, თვითონვე მოიხსნიდა იარაღს და დიასახლისს ჩააბარებდა. ეს ჩვეულება ტრადიციისა და მასპინძლის პატივისცემას წარმოადგენდა და ამავე დროს ნიშნავდა ჟესტს, რომ სტუმარი სამშვიდობოდ იყო მოსული.

სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, ოჯახის წევრი ქალი, ან ვაჟი, ფეხსაცმელს გახდიდა, თათებს ჩააცმევდა და ტყავსაც მოახურავდა. ვახშამზე სტუმარს მიართმევდნენ ხინკალს, კეცეულს, ფაფას ან ხორცის ყაურმას. სუფრას ტაბლაზე შლიდნენ. სუფრის თავში, სტუმრის გვერდით, ოჯახის უფროსი მამაკაცი ჯდებოდა. დიასახლისი იქვე ტრიალებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ქმარი „დაენამუსებინა", რათა სტუმართან გულუხვობა გამოეჩინა.

როდესაც ოჯახში სტუმარი იყო — ბავშვები თითქმის არ ჩანდნენ. აკრძალვის გარდა, მათ თვითონაც ეხათრებოდათ სტუმართან გამოსვლა. სტუმარი თუ ასაკით უფროსი ან ძალიან პატივსაცემი იყო, მასპინძელი ცალ მუხლზე დაჩოქილი და ქუდმოხდილი ემსახურებოდა. („მუხლზე დაჩოქვით" გამასპინძლების წესი ცნობილია ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაც).

ვახშმობის შემდეგ ცოტას ისაუბრებდნენ, შეიძლებოდა სიმღერით ან ლექსით გაერთოთ მოსული, შემდეგ კი მოასვენებდნენ. მეორე დილით სტუმარს უჭმელს არ გაუშვებდნენ. საგზალს ხურჯინში ჩაულაგებდნენ, სასმელსაც აუცილებლად გაატანდნენ, შეუკაზმავდნენ ცხენს და მცირე მანძილზე, ან ზოგ შემთხვევაში სოფლის ბოლომდე გააცილებდნენ. ამის შემდეგ სუტმარი ამ ოჯახთან მეგობრდებოდა და ცდილობდა პატივისცემის გადახდას.

სტუმართმოყვარეობის ტრადიციის მიხედვით, სტუმრობა არ იყო რეგლამენტირებული, შეეძლო განუსაზღვრელი ვადით დარჩენილიყო და არავინ აგრძნობინებდა მას, რომ რაიმეთი აწუხებდა მასპინძლის ოჯახს, მაგრამ დაუწერელი წესის მიხედვით, სტუმარი მეორე დღესვე თუ არა, მესამე დღეს მაინც აუცილებლად წავიდოდა, რადგან მასპინძლის გულუხვობას ანგარებით არავინ ეკიდებოდა.

მთაში, როდესაც სტუმარი თვითონ მიადგებოდა ღამის გასათევად ოჯახს, აუცილებლად მამაკაცის სახელი უნდა დაეძახა. ქალის სახელის დაძახება სირცხვილი იყო და ავისმომასწავებლად ითვლებოდა. უმამაკაცო ოჯახში შეიძლება პატარა ბიჭის სახელიც დაეძახათ.

სტუმარმასპინძლობაში გულუხვობა განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მასპინძლის სიხარულისა სტუმრის მიღების გამო. მაგრამ საუკუნეების მანძილზე დაცინვით იხსენიებდა ხალხი პურაძვირ მასპინძელს, მას თაობების მანძილზე მიჰყვებოდა ეს სირცხვილი...

„კარგი არს პურადობაი, უნჯია
შვილსაც დარჩება
პურადი კაცის ჭირიმე! შორითავ გაიცინებდა".

ან,

„სასტუმრიელი მზეს ღგევხარ,
სამასპინძლოდა მთვარესა"...

ხალხური პოეზიის მოტანილი ნიმუშებიც ბევრს მეტყველებს სტუმარმასპინძლობაზე.

თუშეთში, ფშავსა და მთიულეთში, ლხინის დროს, ვინმეს შელაპარაკება რომ მოსვლოდა სტუმართან, მასპინძელი აუცილებლად დაითხოვდა სახლიდან. სტუმრის მოკლის შემთხვევაში, მასპინძელი და მთელი მისი გვარი, მოკლულის ნათესავებზე ადრე ცდილობდა სისხლის აღებას. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა", ასე ფიქრობდა ყოველი ქართველი.

ქართველთა მიერ სტუმარ-მასპინძლობის წესის დიდ პატივისცემას ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ქართველნი არიან სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი" ასევე მრავლისმეტყველია საქართველოს სამეფო კარზე არსებული „მესტუმრეთუხუცესისა" და „მესტუმრეს" თანამდებობანი.

სტუმარ-მასპინძლობის წესის სათუთად შენახვას ხელს უწყობდა კეთილმეზობლური ტრადიციის არსებობა, რაც ქართველი ხალხისათვის ოდითგან იყო დამახასიათებელი და დღემდეა შემორჩენილი.

თუ მასპინძელი მზად არ იყო სტუმრის დასახვედრად, მეზობლები ჩუმად შეეწეოდნენ სასმელ-სანოვაგით ისე, რომ სტუმარი ვერაფერს მიმხვდარიყო. დახმარების ეს მომენტი მიგვანიშნებს არამარტო ახლომეზობლურ ურთიერთობაზე, არამედ მეგობრულ თანადგომაზე და სურვილზე, მხარში ამოსდგომოდნენ თანასოფლელს, რათა პირნათლად გაძღოლოდა მასპინძლის მოვალეობას.

ამ თემაზე მუშაობამ საშუალება მომცა უფრო ახლოს გავცნობოდი ჩემი სამშობლოს ისტორიას, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვან კომპონენტებსა და დიდებულ მატერიალურ და სულიერ კულტურას. ჩემთვის გასაგები გახდა რომ სწორედ ასეთი თვითმყოფადი კულტურის მქონე ერი თუ შეძლებდა საუკუნეების განმავლობაში, ურიცხვ მტერთან ბრძოლაში შეენარჩუნებინა ეროვნული დამოუკიდებლობა. უძველესი ტრადიციების გაცნობამ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა ქართველი კაცის ბუნების სიმდიდრეში, სილამაზესა და შემწყნარებლობაში. ქართველები არასოდეს ყოფილან დასუსტებული მეზობელი ხალხის ეროვნული თავისებურებების ამოძირკვის მოსურნე. პირიქით, ჩვენი ხალხი ყოველთვის შემწყნარებელი იყო სხვა ქვეყნების ტრადიციებისა და კულტურის მიმართ და არასოდეს გამოუვლენია დესპოტი ერის თვისება სხვა ერებთან ურთიერთობაში.

თემაზე მუშაობამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული გრძნობის დამცირების უფლება, არავისა აქვს. ქართულ ხასიათსა და ტრადიციებში არსებულმა შემწყნარებლობამ და ტოლერანტობამ, ჩვენი სულიერი კულტურის ხელყოფისაკენ მიმართული „შინაური" თუ „გარეშე" მტრის გამოაშკარავებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს.

რაინდთა საავტორო სკოლის სახელით დიდი მადლობა მინდა მოვუხადო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთავის ქართულ გიმნაზიას გულთბილი მიღებისთვის, საოცარი სტუმართმოყვარეობისა და სითბოსთვის, რაც გიმნაზიამ გამოიჩინა კონფერენციის მონაწილეების მასპინძლობისას.

2001 წლის გაზაფხულზე რუსთავის ქართულ გიმნაზიას დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდება. წინასწარ ვულოცავ საიუბილეო თარიღს გიმნაზიელებს და ვუსურვებ წარმატებებს, ნაყოფიერ თანამშრომლობასა და ურთიერთობას საზოგადოებასთან.

**ლევან გოზეჯიშვილი**
*V კლასი*

# გაგონილს ნანახი სჯობს!..

1–ლი გვერდიდან

ხერხდება აგრესიულობის მოხსნა. დიახ, აგრესიულობის მოხსნა, სიყვარულის წვრთნა თითოეულში ბუნების ცხოველებისა და ადამიანების მიმართ.

არ გაგიკვირდეთ, თითოეული ვახსენე, სწორედ ამ ასაკშია განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა თითოეულისადმი. ჯანსაღი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების შესწავლა და ჩამოყალიბება.

სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვები სრულიად გრძნობენ, რომ მათაც შეუძლიათ შრომა და ამ შრომით სარგებლობის მოტანა.

რაინდთა საავტორო სკოლა როგორც ზემოთ მოგახსენეთ არის გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. სკოლა მუშაობს ავტორის მიერ შემუშავებული მეთოდით, რომლის ძირითადი მიზანია, სასწავლო პროცესის აგება ახალი გზების ძიებით და მისი გამოყენება მოსწავლეთა მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენის უზრუნველსაყოფად. სკოლის ძირითადი მიზანია იმ მავნე ჩვევების აღმოფხვრა და თავიდან აცილება, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ, მოსწავლეთა სულიერად და ფიზიკურად სრულყოფის საშუალებით, კარგი აღზრდითა და განათლებით ახალი საზოგადოების მიღება, რომლის ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ აღმსარებლობაზე, სიყვარულზე, ერთგულებაზე, სიმართლეზე, შრომისადმი მისწრაფვაზე, შეურიგებლობაზე ყოველგვარი მანკიერებისადმი და სხვა ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე.

ალბათ დასამალი არ არის რომ თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, თითოეულ მოსწავლეს ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩენისას უნდა შეეძლოს თავის დაღწევა, სხვისთვის დახმარების აღმოჩენა და გადარჩენა. ამის გათვალისწინებით სასწავლო გეგმაში შეტანილია კლდეზე ცოცვა, წყლის წინააღმდეგობების დაძლევა, თოვლის მასივებზე გადაადგილება, ქართული ჭიდაობა, თავდაცვითი საბრძოლო ხელოვნება, ფა-



რიკაობა. ზოგიერთ მათგანს, ღია გაკვეთილების სახით, ყაზბეგში იხილავთ. მაღალ კლასებში გათვალისწინებულია მხედრობის, სროლის სახეობების, ცურვის და მანქანის მართვის შესწავლაც. სკოლაში, როგორც საგნები, ისწავლება ფეხბურთი, ბეისბოლი, ჭადრაკი.

ბავშვები კარგათ ერკვევიან არატრადიციული მედიცინის მეთოდებით მკურნალობაში. მთაში, მინდორში ან სხვა მიუვალ ადგილებში მათ შეუძლიათ გამოიყენონ სამკურნალო მცენარეები. წყლით მკურნალობა, წერტილოვანი მკურნალობა და მრავალი სხვა.

სასწავლო გეგმაში მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი კულტურის დარგებს, ესაა: ქართული საეკლესიო საგალობლები, ქართული ხალხური სიმღერები, თანამედროვე საბავშვო სიმღერები, ქართული ცეკვები, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფოლკლორის, ქსოვისა და ქარგვის სწავლებას. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა, რომ ბავშვები ეროვნულ ფესვზე აღმოცენდნენ და არ მოწყდნენ მას. როდესაც შენ კარგად იცი შენი ისტორია და გიყვარს ის, მაშინ სრულიად შეგიძლია გაიგო სხვა ხალხების ისტორია და კულტურა, შეიყვარო და პატივი სცე მას. აი ეს არის ჭეშმარიტი გზა ტოლერანტობისაკენ.

ცალკე მინდა გამოვყო საბანაკო ცხოვრება. ეს არის ჭეშმარიტი სკოლა, სადაც ბავშვები სწავლობენ, რომ ადამიანი ადამიანის წამალია, სადაც „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის" ცოცხლობს და, ვფიქრობ, საზოგადოების გაუცხოება, რომელიც ასე ძალიან გვტკივა. ბავშვებს შორის ყოველი წყენა თუ გაუგებრობა, არ რჩება მასწავლებლის ყურადღების მიღმა, ხდება საქციელის შეფასება.

ყველაზე დიდი პრობლემა ბავშვთა აღზრდისა და განათლების საკითხში, არის ოჯახი. სწორედ აქაა თავდადება მასწავლებლის, რადგან მშობლისა და ბავშვის აღზრდა ერთდროულად უხდება პედაგოგს. მთელი ტრაგედია ისაა, რომ ზოგჯერ მშობელი აღზრდას არ ექვემდებარება. აქ კი ხდება მეტად სერიოზული კონფლიქტი მშობელსა და შვილს შორის. ბავშვი უცხადებს, რომ სკოლაში მასწავლებელს ასე უნდა მოვიქცე, მშობლები კი სხვას ასწავლის და ხდება ბავშვის აზროვნების გაორება. ისე კი, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლის ავტორიტეტი ქრის, რადგან მე ვამაყობ ჩვენი მასწავლებლებით.

ნათქვამია, ახალ საქმეს ახალი ხალხი ჭირდებაო.

რაც შეეხება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გაგონილს ნანახი სჯობს! ღირსეული მომავალი მოაბიჯებს.

**ნინო მნათობიშვილი**
*რაინდთა საავტორო სკოლის დირექტორი*

# მოსწავლეთა შემოქმედება

## დაუსრულებელი საუბარი იაკობ გოგებაშვილთან



— ბატონო იაკობ!

— რაო, ბატონო გიორგი...

დავწერე და მე თვითონ გამეცინა ასეთ ბავშვურ დასაწყისზე. ნეტავ რას ვკითხავდი პირველად, მართლა რომ შემეძლოს იაკობ გოგებაშვილთან გასაუბრება? რას და ვეტყოდი:

— მე მეოთხე კლასში ვარ და ჯერჯერობით ყველაზე კარგად „დედა ენას" ვიცნობ. არა, წაკითხვით კი წამიკითხავს სხვა წიგნებიც, მაგრამ „დედა ენა" სულ სხვა არის.

ბატონო იაკობ! როგორ დაწერეთ ასეთი კარგი წიგნი?

ბატონი იაკობი კეთილად გაიღიმებს და მიპასუხებს:

— მართლა ასეთი კარგია ჩემი „დედა ენა"?

— თქვენს შემდეგ ძალიან ბევრი წიგნი შეიცვალა. ადამიანები კოსმოსში გაფრინდნენ და კომპიუტერიც გამოიგონეს... „დედა ენა" კი შეუცვლელია.

— მიხარია, რომ ამას მეუბნება ბავშვი, თანაც XXI საუკუნის დასაწყისიდან. ბავშვები ძალიან მიყვარს. ამ წიგნში მთელი სული და გული ჩავაქსოვე, სხვა წიგნებშიც და ბედნიერი ვარ, რომ ისინი ამდენ ხანს ცოცხლობენ.

— ცუდია, რომ თქვენს სხვა წიგნებს სკოლაში არ გვასწავლიან. „ბუნების კარს" სახლში მიკითხავდნენ ხოლმე.

— „ბუნების კარშიც", ჩემს მოთხრობებშიც, საბავშვო ჟურნალებშიც, ბავშვებისათვის სასარგებლო ბევრი რამ გადმოვეცი. ალბათ, თქვენთვის საინტერესო იქნება საუკუნის წინანდელი საქართველოს ამბები. წინაპრები და მათი ცხოვრება არ უნდა დაივიწყოთ.

— ჩვენ ისეთი სკოლა გვაქვს, არ დაგვავიწყებს. იცით, ერთხელ თეთრიწყაროში ეკლესიაში წავედით. შენობის შუაში დიდი ხეა ამოსული. ჩვენი სკოლის ავტორი, მურთაზ მასწავლებელიც ჩვენთან იყო. ჯერ ისტორია მოგვიყვა. აქაო, — გვითხრა, — ამხელა ქვები ვინ იცის საიდან მოათრიესო და რამდენი ადამიანის ტანჯვის ფასად არის აგებული ეს ქრისტიანული კელესია. ახლა კი, აგერ, ხე ამოსულა. მალე კედლებსაც ჩამოანგრევს. მერე ამას ვიღა ააშენებსო?

— „ჩვენ ავაშენებთ!" — ისეთი გულწრფელი გამოგვივიდა შეძახილი, რომ მურთაზ მასწავლებელს თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

— მიყვარს ასეთი ბავშვები, და ასეთი სკოლაც.

ქართული გზას მიჰყვება. სულ მშვიდობით გევლოთ!..

* * *

ძალიან მომეწონა ასეთი გასაუბრება. ახლა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" ვკითხულობ და ნეტავ ნოდარ დუმბაძისთვის რომ მეკითხა, ეს სასაცილო ილიკო და ილარიონი როგორ მოიგონეთ-მეთქი, რას მიპასუხებდა?

**გიორგი თანანაშვილი**
*IV კლასის მოსწავლე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსწავლეთა შემოქმედება

„[illegible]“

[illegible]

# რაინდის სახელს ვფიცავარ, რომ...

**ძველად, მაშინდელი ქვეყნის მდგომარეობა აყალიბებდა თვით ქართველს ნამდვილ რაინდად. ნამდვილმა ქართველმა რაინდებმა დაიცვეს ჩვენი მიწა-წყალი მტერთაგან.**

ახლა კი სად წავიდა მამა-პაპური ხმალი, მკლავი, ვაჟკაცობა. სად დაიკარგა? განა ახლა ნაკლები ბიჭები დადიან საქართველოში? ერთ-ერთმა პოეტმა თქვა: „რომ მოვკვდები, ასე მგონია სამოთხის კარს კი არ შევალებ, არამედ საქართველოს მივესალმები“.

ხალხის იმედი გაქრა, მიწამ ჩაყლაპა, მზის სხივებმა დაწვეს. განა ეს სამართალია? ქართველები რუსებს ვუდგებოდეთ მუხლის ჩოქზე, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ. დავითის, თამარის, შოთას ქვეყანაში, საქართველოს ბედი, ყოფნა-არ ყოფნა საკითხავი უნდა იყოს? შუა ბრძოლაში ქართველი რაინდები ერთმანეთს რუსთაველის შაირების ძახილით ამხნევებდნენ. საქართველოს ცხელი მიწა მუჭით ეჭირათ და როცა სასიკვდილოდ დაიჭრებოდნენ, მუჭას მკერდში იკრავდნენ და ამოიკვნესებდნენ: „ვაი, დედაო!“

ამიტომაც, ხალხის იმედის მისაცემად შეიქმნა ჩვენი სკოლა: — „რაინდთა საავტორო სკოლა“. ამ სკოლაში სხვა საგნებთან ერთად გვასწავლიან სიმღერას, ფოლკლორს, რელიგიას, გალობას და სპორტის სხვადასხვა სახეობებს. სკოლიდან ჩვენ დავდივართ ბანაკებში. ბანაკში ყოფნის დროს ჩვენ გვინერგავენ ერთმანეთის სიყვარულს, გაჭირვებულთათვის დახმარებას, სამშობლოს და ქართული ენის სიყვარულს. ჩვენს სკოლაში კარგი დამოკიდებულებაა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ერთად ვჭამთ, გვძინავს, ერთი ცხოვრებით ვცხოვრობთ. ბანაკში ყოფნის დროს, როცა ჩვენ ყაზბეგში ვმღეროდით, ბუმბერაზი მთებიც ბანს გვაძლევდნენ. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“, სწორედ ჩვენს სკოლაზეა ნათქვამი.

ჩვენი სკოლიდან გავიზრდებით ისეთი რაინდები, რომ ნამდვილად ვასახელებთ ჩვენი სკოლის ავტორს, მურთაზ მნათობიშვილს, ჩვენს საყვარელ მასწავლებლებს, ხალხს და მთლიანად საქართველოს.

მიეცემათ იმედი ხვალინდელი დღის. რაინდის სახელს ვფიცავართ, რომ დავიბრუნებთ ჩვენს დროებით დაკარგულ მიწებს, არ შევარცხვენთ რაინდის სახელს, დავიცავთ ენას, მამულსა და სარწმუნოებას.

„ირემს რად უყვარს
მთის წყარო,
ვაჟკაცს ნალესი ხმალია,
მე რატომ მიყვარს სამშობლო
განა ეს საკითხავია?!“

**ცოტნე ბახოკიძე**
*VI კლასის მოსწავლე*

# ყველაფერს ეშინია დროის, მაგრამ დროს ეშინია პირამიდების...

მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების საგანძურში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა ძველმა ეგვიპტელებმა დაგვიტოვეს, რომლებმაც 5200 წლის წინათ მდინარე ნილოსის აუზში დიდი მონათმფლობელური სახელმწიფო შექმნეს.

XIX ს-ის დასაწყისში მეცნიერებამ ცოტა რამ იცოდა ძველ აღმოსავლეთზე, მაგრამ ბოლო 150-100 წლის მანძილზე ჩატარებულმა გათხრებმა მრავალი მასალა დაუგროვა მეცნიერებას და გააგებინა ძველი აღმოსავლეთის მდიდარი წარსული.

ძველი ეგვიპტის ისტორია რამდენიმე ათასწლეულს მოიცავს. მაგრამ იმ უზარმაზარი სახელმწიფოდან ახლა მხოლოდ დროსთან მებრძოლი გიგანტური პირამიდები შემორჩა კაცობრიობას, რომლებიც მეტყველებენ ეგვიპტის დიად წარსულზე.

ეგვიპტე ძალიან მდიდარი იყო სხვადასხვა ჯიშის ქვით. ძველ ეგვიპტელებს ქვის მოპოვების პრიმიტიული ტექნიკა ჰქონდათ: ქვის ბურღით ამოღებულ ნახვრეტში ხის სოლის ჩასმით და წყლის ჩასხმის საშუალებით ჩამოტეხავდნენ ხოლმე დიდ ლოდებს. ადგილზევე შავად დამუშავების შემდეგ ეს ლოდები ხის საგორავებით, პირუტყვის, უფრო ხშირად კი მონების გამოყენებით, მშენებლობის ადგილას გადაჰქონდათ, სადაც მას საბოლოოდ გადაამუშავებდნენ ხოლმე.

მაინც, რა საჭირო იყო ეს უზარმაზარი პირამიდები.

ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით ადამიანის სული არ კვდებოდა, იგი მხოლოდ საიქიოში გადადიოდა და მეორე ცხოვრებას იწყებდა. ამიტომ მიცვალებულის დაბალზამებულ გვამს — მუმიას სარკოფაგში ასვენებდნენ და ჩრდილთა ქვეყნისათვის საცხოვრებელს უშენებდნენ. ასეთი სამარხი ნაგებობიდან ბევრმა მოაღწია ჩვენამდე.

დღევანდელი ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროს მახლობლად სოფელ გიზასთან შემორჩენილია ძველი სამეფოს პერიოდის ფარაონთა სამარხი ნაგებობათა ჯგუფი, რომელიც დღეს გიზას ანსამბლის სახელით არის ცნობილი, სადაც სამი ფარაონის: ხეოფსის, ხეფრენის და ნიკერინის პირამიდაა აღმართული. აქედან თავისი გიგანტური ზომებით დღესაც აოცებს მნახველს ხეოფსის პირამიდა. მის ძირში ადამიანი მხოლოდ ბუნების მცირე ნაწილაკია და მეტი არაფერი. ეგვიპტეში ყოფნის დროს ნაპოლეონი განაცვიფრა ხეოფსის პირამიდის ზომებმა. მან სწრაფად გაიანგარიშა და იქ გამოყენებული ქვის ლოდები საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მთელი საფრანგეთის ირგვლივ აეგოთ 3 მეტრი სიმაღლის და 20 სმ სისქის გალავანი. ინგლისელ მეცნიერთა აზრით, ამ პირამიდის მშენებლობაზე მეტი ქვა დაიხარჯა, ვიდრე დიდი ბრიტანეთის ყველა ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობაზე. პირამიდა გარედან თეთრი კირქვის გაპრიალებული ფილებით გახლდათ მოპირკეთებული. იგი მზის სხივზე ათასფრად ბრწყინავდა. მისი სიმაღლე 147-ს აღწევდა, დღეს უკვე 137-მდეა შემცირებული და 2 მლნ. 300 ათას ბლოკისაგან შედგებოდა. ფილები მაგრდებოდა მხოლოდ საკუთარი სიმძიმით და მაინც ათასობით წლების მანძილზე ამ კედლებმა გადაიტანეს მიწისძვრა, ომი თუ სტიქიური უბედურებები და მას შემდეგ 5 ათასი წელი გავიდა. დრომ შთანთქა ბაბილონი და ასურეთი. დიდი სპარსეთის ხსოვნაღა ცოცხლობს. არაფერი დარჩა თავად ფარაონ ხეოფსისაგან, რომელმაც საკუთარი სახელის განსადიდებლად უზარმაზარი პირამიდა ააგო. მაგრამ ეგვიპტელი ხალხის მიერ მძიმე შრომითა და ჯაფით შექმნილ შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი — ეგვიპტური პირამიდები დღემდე ნირუცვლელად დგას და დროც კი ქედს იხრის მისი სიდიადის წინაშე.

**ნიკა რაზმაძე, იოსებ ჯღამაძე**
*V კლასის მოსწავლეები*



გუბაზ ლეთოდიანი. VI კლასი

# რომელმან შექმნა სამყარო...

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ყოვლისშემძლე, მოწყალე ღმერთმა შექმნა სამყარო.

დადის დაფიქრებული ღმერთი დინჯად და ხედავს როგორ არის არეული ერთმანეთში ყველაფერი. უცებ, ერთი ხელის გაშლით ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ცა ზევით ასტყორცნა და გუმბათივით დაადგა დედამიწას. დღე განასხვავა ღამისაგან, ცაზე მზე მიამაგრა, მას სიკაშკაშე მიანიჭა, რომ უკუნეთი სიბნელე არ ყოფილიყო. ცას მთვარე მიამაგრა და ირგვლივ მიმოფანტა მოციმციმე ვარსკვლავები. დედამიწის ნახევარზე მეტი ღმერთმა წყალს მიაკუთვნა. ირგვლივ მიმოაბნია ფერად-ფერადი კენჭები. წყალში მოხვედრილი კენჭი თევზებად გადაიქცა, დანარჩენი წყლის მცენარეებად, ხოლო მიწაზე დავარდნილი — ფერად-ფერად ყვავილებად. ამოზიდა ნაირ-ნაირი ხეები, უცებ, ხეებზე აფრინა ლამაზ-ლამაზი ჩიტები, კურდღლები ბუჩქებში შეაყუჟა, მტაცებელი ცხოველები კი უღრან ტყეში.

ღმერთმა სამყაროს შექმნის შემდეგ ერთი დღე დაისვენა. შემდეგ დაათვალიერა თავისი შექმნილი სამყარო და ყველაფერი ძალიან მოეწონა: მოჭიკჭიკე ჩიტები, ფერად-ფერადი ყვავილები, ბუმბერაზი მთები, დაბურული ტყეები. ანკარა მდინარეები, მოჩუხჩუხე წყაროები. იგრძნო, რომ იყო ადამიანის შექმნის დროც. იგი ყველაფერ ამას მოუვლიდა და დატკბებოდა მისი სილამაზით. მან შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, მიანიჭა სიცოცხლე და ამ ედემში დაამკვიდრა.

ამის შემდეგ ადამიანები ვცხოვრობთ ამ ულამაზეს ედემში — დედამიწაზე, რომელიც ღმერთმა გვაჩუქა და დღემდე გვაქვს „უთვალავი ფერითა“.

**ნინო ვასაძე.**
*V კლასის მოსწავლე*



ლუისაბერ ზანძეხე, IV კლასი

## ზამთარი

მიილია ოქროსფერი შემოდგომა წეროების გუნდმაც გადაიფრინა. კაბა შემოეძარცვა ხეებს და გაყვითლებული უკანასკნელი ფოთოლი დაეფინა მიწას. ცივი ქარი დაჰქრის. ბეღურებმა ნაძვის ტოტებს შეაფარეს თავი.

მობრძანდა ზღაპრის მზეთუნახავივით ლამაზი ზამთარი. თოვლის დედოფალმა გაგვილიმა და ფიფქები ფარფატით დაეშვა მიწაზე. მთებმა თეთრი ჩოხა ჩაიცვა. ზამთარი შემობრძანდა სუსხით, ყინვითა და თოვლით. ფანტელებმა გადაათეთრეს არემარე. სამყარო თეთრ სამეფოს დაემსგავსა.

კეთილი იყოს შენი მობრძანება ჭალარა ზამთარო!

**ვახტანგ ცუხიშვილი.**
*III2 კლასი.*

**თოვლი მოდის,
თოვლი მოდის,
გადათეთრდა არე-მარე.
ჩქარა გუნდა,
ჩქარა ციგა
თოვლი გვიხმობს
ყველას გარეთ!**

**რაინდთა საავტორო სკოლის III, კლასის გოგო-ბიჭები ცდილობენ, თავისუფლად იაზროვნონ, ბავშვურად წრფელი აზრები მიანდონ რვეულს, რომელიც მომავალში მათი პატარა გულების მემატიანედ იქცევა. ქვემოთ მოტანილი ფრაზები სწორედ ამ რვეულებიდან ამონარიდია...**

**რატი კალმახელიძე:**

ძილის წინ ყოველთვის რაღაცაზე ვფიქრობ... ფიქრისთვის სიჩუმე მჭირდება... სიჩუმეში ფიქრი მიადვილდება... როცა ხმაურია ფიქრი მიდის ჩემგან... ამიტომაც ღამე ვფიქრობ...

სიჩუმე ფიქრის წამალია...

**ბექა გოცირიძე:**

ძალიან მიყვარს ლამაზი ფერები, ყველაზე მეტად მიყვარს, როცა რაღაცა ლამაზია.

ერთხელ, ერთ ლამაზ ყვავილს შევხვდი, ჩემმა დამ მითხრა: ამოვგლიჯოთო. მე ვუთხარი არ შეიძლება, ცოდოა-მეთქი, ამ დროს ბებიამ დაგვიძახა და სახლში გავიქეცით.

**ნიკოლოზ კერესელიძე:**

ჩემ დეიდიკოს ძმისშვილი შეძინა, სახელად მარიამი დავარქვით. მე ძალიან გამიხარდა მისი დაბადება. იგი ჭიანჭველასავითაა. მას ბუთხუზა ლოყები და ძალიან პატარა თითები აქვს.

**ანა გვასალია:**

მე სევდიანი არა ვარ, პირიქით, ბედნიერი ვარ, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი და მეგობრები. გულს მიხარებს ახალი წელი და დაბადების დღე. მომწონს სიმღერა, გალობა და ხატვა. მყავს ძაღლი „ტუკი“, რომელიც ძალიან მიყვარს.

**ბუკა ჯანჯღავა:**

ისე კარგად მღერიან ქართულ სიმღერებს, რომ ვისმენ, ლამის ტირილს ვიწყებ. ჩემი საყვარელი სიმღერაა „გაზაფხული შემოსულა...“

**გიორგი გამრეკელაშვილი:**

ღმერთი ყველაზე კეთილი და კარგია. შეიძლება ვინმეს არ უყვარდეს ღმერთი, მაგრამ ღმერთს ისიც უყვარს. ადამიანმა უნდა შეძლოს ბოროტების მონანიება.